ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ანი ჩუბინიძე

ბასკური და კატალონიური ნაციონალიზმების შედარებითი ანალიზი (ფრანცისკო ფრანკოს მმართველობის პერიოდი და თანამედროვე ეპოქა)

ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ირაკლი ჩხაიძე,

ასისტენტ პროფესორი

თბილისი 2019

ანოტაცია

ბასკური და კატალონიური ნაციონალიზმების შედარებითი ანალიზი (ფრანცისკო ფრანკოს მმართველობის პერიოდი და თანამედროვე ეპოქა)

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ბასკური და კატალონიური ნაციონალიზმების შედარებით ანალიზს ახდენს. ნაშრომის მიზანს, პოლ ბრასის ინსტრუმენტალიზმის, სტუარტ კაუფმანის შიდა-ეთნიკური ომის „საერთაშორისო“ თეორიისა და შედარებითი ანალიზის ჭრილში, ბასკური და კატალონიური სეპარატისტული ნაციონალიზმების გამომწვევი მიზეზებისა და მათ შორის საერთო მიზნის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის არსებობა/არარსებობის დადგენა წარმოადგენს. ნაშრომში განხილულია ორი პერიოდი: ფრანცისკო ფრანკოს დიქტატურა და თანამედროვე ეპოქა.

საკითხზე მუშაობისას გამოყენებული იქნა კვლევის თვისებრივი მეთოდი. ასევე, შედარებითი ანალიზის, დისკურსის ანალიზისა და შემთხვევის შესწავლის მეთოდები. კვლევის პროცესში გაანალიზდა მეორადი წყაროები, ესპანურენოვანი და ინგლისურენოვანი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები, სტატიები, ელექტრონულ მედიაში მოძიებული მასალები. ასევე, სხვადასხვა საჯარო პირთა, პოლიტიკოსთა და რიგითი მოქალაქეების ინტერვიუები, განცხადებები და ნააზრევები.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბასკური და კატალონიური სეპარატიზმის გამომწვევი მიზეზი ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული იყო. ფრანცისკო ფრანკოს მმართველობის პერიოდში, ბასკური ნაციონალიზმი ხასათდებოდა რადიკალური სეპარატისტული განწყობებით, ხოლო კატალონიური- არა, რაც განპირობებული იყო ელიტების მიერ გატარებული განსხვავებული პოლიტიკითა და განსხვავებული ისტორიული წინამძღვრებით. ხოლო, თანამედროვე პერიოდში სახეზეა საპირისპირო პროცესები: ბოლო პერიოდში, კატალონიაში სეპარატისტული მოთხოვნები რადიკალური გახდა, თუმცა, კატალონიური ნაციონალიზმის გაძლიერებას არ მოჰყოლია იგივე პროცესები ბასკეთში. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კატალონიური და ბასკური ნაციონალიზმების განსხვავებული ხასიათი თანამედროვე პერიოდში განპირობებულია განსხვავებული ისტორიული მეხსიერებით (ეტა-ს საქმიანობა), ელიტების მიერ გატარებული განსხვავებული პოლიტიკით და კულტურული და ეკონომიკური ფაქტორებით. რაც შეეხება მათ შორის მსგავსებას,

როგორც ფრანკოს მმართველობის დროს, ისე თანამედროვე პერიოდში გამოიკვეთა პოლიტიკური ელიტების დიდი როლი, რომლებიც მასებით მანიპულირებას სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით ახდენდნენ. მნიშვნელოვანია, ისიც, რომ ბასკებისა და კატალონიელების ერთობლივი ქმედება ერთადერთ შემთხვევაში ვლინდება და იგი ტერორიზმს უკავშირდება. ფრანკოს დიქტატურისგან განსხვავებით, თანამედროვე პერიოდში აღსანიშნავია ბასკებს და კატალონიელებს შორის მხარდაჭერის არსებობა, როგორც ხალხის, ისე პოლიტიკური ელიტების დონეზე, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ კატალონიაში მიმდინარე მოვლენები ბასკეთშიც გავრცელდება. კვლევამ აჩვენა, რომ ფრანკისკო ფრანკოს პერიოდში ბასკეთში ადგილი ჰქონდა მასების მიერ მართულ ძალადობას, თუმცა, ფრანკოს დიქტატურის დასასრულისთანავე იგი ელიტების მიერ მართულ ძალადობად გადაიქცა. ხოლო, თანამედროვე პერიოდში, კატალონიაში მიმდინარე მოვლენები შეგვიძლია შევაფასოთ, როგორც ელიტების მიერ მართული ძალადობა. რაც შეეხება შიდა ეთნიკური უსაფრთხოების დილემას, მას ადგილი ჰქონდა, როგორც ბასკების (ფრანკოს პერიოდში), ისე კატალონიელების (თანამედროვე პერიოდში) შემთხვევაში.

საკვანძო სიტყვები: სეპარატიზმი, ინსტრუმენტალიზმი, მასები, ელიტები, ძალადობა, უსაფრთხოების დილემა.

Annotation

MA Thesis. Chubinidze. A- Comparative analysis of Basque and Catalan Nationalism (the period of Francisco Franco's rule and modern times)

The present master's thesis is a comparative analysis of Basque and Catalan nationalism. The purpose of the work is to determine the causes of Basque and Catalan secessionist nationalism in the context of institutionalism (Paul Brass), "international" theory of the inter-ethnic war (Stuart J. Kaufman) and by using comparative analysis. Another purpose of the work is to determine the existence/absence of the relationship between Basque and Catalan nationalism. In following research two periods will be discussed: the period of Francisco Franco dictatorship and modern times.

While working on the research, a qualitative method of research was used. As well as methods of case-study, comparative research and discourse analysis. In the study process, were analyzed secondary sources, Spanish and English works of scientific research, articles and materials obtained in internet. As well as interviews, statements and ideas of different public figures, politicians and ordinary citizens.

The research revealed that the cause of Basque and Catalan separatism was different at different stages of history. During Francisco Franco dictatorship Basque nationalism was reflected in radical separatist sentiments, while Catalan nationalism was not, which can be explained by different policies by political elites and by different historical perspectives. However, in modern times, there are some opposite processes: secessionist demands in Catalonia have recently become radical, but this was not followed by the same processes in Basque country. Research showed that the difference between Basque and Catalan nationalisms in modern times is connected to different historical memory (ETA and its activities), different policies by elites and to different cultural and political factors. What about similarities between them, at each stage, there was a big role of political elites who used to manipulate the masses by using different instruments. It is important that the only case when Catalans and Basques acted together was connected to terrorism. It is worth noting that unlike Franco dictatorship, nowadays Basques and Catalans (ordinary citizens, as well as political elites) support each other, but this does not mean that the processes in Catalonia will spread in Basque country. The study has shown that during the Francisco Franco period, violence in Basque country was led by masses, but after the end of

Franco's dictatorship, the violence was led by elites. On the other hand, latest process in Catalonia is led by elites. What about inter ethnical security dilemma, it happened in the case of Basques (in Franco period) as well as in Catalonia (in modern times).

Keywords: Separatism, Instrumentalism, Masses, Elites, Violence, Security dilemma.

სარჩევი

შესავალი 7

თეორიული ჩარჩო 11

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.....14

მეთოდოლოგია და ნაშრომის სტრუქტურა 18

თავი 1. სეპარატიზმი და თვითგამორკვევა 19

თავი 2. ბასკეთის და კატალონიის ავტონომიური რეგიონების ზოგადი მახასიათებლები21

თავი 3 მოკლე ისტორიული მიმოხილვა.....23

თავი 4. ბასკური ნაციონალიზმი ფრანცისკო ფრანკოს მმართველობის პერიოდში.....28

4.1 ეტა 31

თავი 5. კატალონიური ნაციონალიზმი ფრანცისკო ფრანკოს მმართველობის პერიოდში36

5. 1 ტერა ლიურე 39

თავი 6. კატალონიური ნაციონალიზმი- თანამედროვე პერიოდი.....43

თავი 7. ბასკური ნაციონალიზმი- თანამედროვე პერიოდი.....50

თავი 8. შედარებითი ანალიზი 57

დასკვნა 60

გამოყენებული ლიტერატურა 61

შესავალი

აქტუალურობა; კვლევის პრობლემა/მიზანი; საკვლევი კითხვა/ჰიპოთეზა

აქტუალურობა

სეპარატისტული ნაციონალიზმი თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. სეცესიური კერები მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტზე გვხვდება, განსაკუთრებით მწვავედ კი-ევროპაში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მისი შეჩერება სახელმწიფოსთვის რთულ მისიას წარმოადგენს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პოლიტიკურ ელიტები ხშირად საერთაშორისო სამართალსა და ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე აპელირებენ და ამით ცდილობენ სეპარატისტული მოძრაობების ლეგიტიმურობა დაამტკიცონ, აღსანიშნავია ისიც, რომ თვითგამორკვევის უფლება სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და ურღვევობის პრინციპს ეწინააღმდეგება.

სეპარატისტულ ნაციონალიზმზე საუბარი შეუძლებელია კატალონიის და ბასკეთის განხილვის გარეშე. კატალონიური ნაციონალიზმი განსაკუთრებით აქტუალური ბოლო პერიოდიდან გახდა, როდესაც კატალონიის ყოფილმა პრეზიდენტმა კარლეს პუჩდემონმა კატალონიაში ესპანეთის კონსტიტუციის უხეში დარღვევით “რეფერენდუმი” ჩაატარა, რასაც ქვეყანაში შიდა დაპირისპირებები და არეულობა მოჰყვა. კატალონიის საკითხი დღემდე გადაუჭრელია და აქტუალობას არ კარგავს. აღსანიშნავია ისიც, რომ კატალონიის ახლადარჩეული პრეზდენტი- კიმ ტორა კატალონიის დამოუკიდებლობის მომხრეა და ესპანელების მიმართ ქსენოფობიური და რასისტული განცხადებებით ხასიათდება. რაც შეეხება ბასკურ ნაციონალიზმს, ესპანეთზე საუბრისას კატალონიურის გვერდით ხშირად ახსენებენ ბასკეთის საკითხს, პრესაში თუ პოლიტიკურ წრეებში საუბრობენ იმაზე გამოიწვევს თუ არა კატალონიური ნაციონალიზმის გამოღვიძება იმავე პროცესებს ბასკეთშიც. ხშირად საუბრობენ ბასკებზე, როგორც სეპარატიზმის მეორე ფრონტზე, რომელიც მალე გამოიღვიძებს, ამიტომ, ჩემი აზრით, ესპანეთსა და კატალონიურ ნაციონალიზმზე საუბრისას

შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ბასკურ ნაციონალიზმს და პირიქით. ასევე მნიშვნელოვანია ვისაუბროთ იმ ისტორიულ წინამძღვრებზე, რომლებიც დღესაც გარკვეულ გავლენას ახდენს ბასკური და კატალონიური ნაციონალიზმის ხასიათზე.

კვლევის პრობლემა და მიზანი

ფრანცისკო ფრანკოს პოლიტიკა ეფუძნებოდა ესპანურ ნაციონალიზმს. მან გააუქმა ბასკეთის და კატალონიის ავტონომია, აკრძალა ბასკური და კატალონიური ენები, თუმცა ბასკები არ შეეგუვნენ ფრანკოს ძალადობრივ პოლიტიკას და მასთან საბრძოლველად დაარსეს ტერორისტული ორგანიზაცია „ეტა“. რაც შეეხება კატალონიას, კატალონიელებმა ფრანკოს დიქტატურას უფრო პრაგმატულად შეხედეს და შეიძლება ითქვას, დროებით შეეგუვნენ თავიანთი მდგომარეობას. საპირისპირო პროცესებს აქვს ადგილი თანამედროვე პერიოდშიც. კატალონიაში სეპარატისტული ნაციონალიზმის გაძლიერებას არ მოჰყოლია იგივე პროცესები ბასკეთში. **კვლევის პრობლემა** ერთ ქვეყანაში მცხოვრები, ერთი მიზნისთვის მებრძოლი ბასკური და კატალონიური ნაციონალიზმების განსხვავებული ხასიათისა და ბასკი და კატალონიელი ხალხის განსხვავებული ნაციონალისტური მისწრაფებების მიზეზების დადგენა და ანალიზია. (როგორც ფრანცისკო ფრანკოს მმართველობის პერიოდში, ისე თანამედროვე ეპოქაში).

ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევების სამეცნიერო დისციპლინის ფარგლებში სეპარატისტულ ნაციონალიზმთან დაკავშირებით მრავალი ნაშრომი იწერება და არაერთი დებატები იმართება, თუმცა, საქართველოში ევროპული სეპარატიზმი, როგორც საკვლევი თემა ნაკლები პოპულარულობით სარგებლობს, ასევე მცირეა ამ საკითხზე შესრულებული ნაშრომების რაოდენობაც. ჩემი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია კატალონიური და ბასკური სეპარატიზმის განხილვით **სიახლე** შეიტანოს სეპარატიზმის, კერძოდ კი ბასკური და კატალონიური სეპარატისტული ნაციონალიზმის კვლევებში.

ამასთან ერთად, ჩემი სამაგისტრო ნაშრომის **მიზანია** გავაანალიზო ბასკური და კატალონიური სეპარატისტული ნაციონალიზმი მე-20 საუკუნეში (ფრანცისკო

ფრანკოს დიქტატურის პერიოდში) და თანამედროვე პერიოდში, შევისწავლო და ავხსნა ბასკური და კატალონიური სეპარატისტული ნაციონალიზმების ერთმანეთისგან **განსხვავებული ხასიათის, ბრძოლის განსხვავებული მეთოდების და ერთმანეთთან ურთიერთკავშირის არსებობა/არარსებობის მიზეზები (როგორც ისტორიულ წარსულში 20-ე საუკუნე, ისე თანამედროვე პერიოდში).**

საკვლევი კითხვა

ნაშრომი ორი მთავარი საკვლევი კითხვისგან შედგება, რომლებიც შემდეგში მდგომარეობს:

1) **რატომ არ გამოიწვია ბასკური ნაციონალიზმის გაძლიერებამ იგივე პროცესები კატალონიაში ფრანცისკო ფრანკოს მმართველობის პერიოდში?**
2) **რატომ არ გამოიწვია კატალონიური ნაციონალიზმის გაძლიერებამ იგივე პროცესები ბასკეთში თანამედროვე პერიოდში?**

ქვეკითხვები:

- რატომ ხასიათდებოდა ბასკური ნაციონალზმი ძალადობრივი ხასიათით ფრანკოს რეჟიმის მიმართ, ხოლო კატალონიური- არა?
- როგორი დამოკიდებულება იყო, წარსულში და არის ახლა ბასკებსა და კატალონიელებს შორის (ხალხების და ელიტების დონეზე)?

ჰიპოთეზა

- **განსხვავებული ისტორიული წინამძღვრების და ელიტების განსხვავებული პოლიტიკის** გამო ბასკური ნაციონალიზმის გაძლიერებას არ მოჰყოლია იგივე პროცესები ბასკეთში, ფრანცისკო ფრანკოს მმართველობის პერიოდში.
- თანამედროვე პერიოდში, **განსხვავებული ისტორიული მეხსიერების, ელიტების განსხვავებული პოლიტიკის,** ასევე განსხვავებული **კულტურული და ეკონომიკური ფაქტორების** გამო კატალონიური სეპარატისტული ნაციონალიზმის გაძლიერებას არ მოჰყოლოა იგივე პროცესები ბასკეთში.

დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადები:

ფრანცისკო ფრანკოს მმართველობის პერიოდში:

- **დამოუკიდებელი ცვლადია:** ბასკური და კატალონიური პოლიტიკური ელიტების მიერ განხორციელებული პოლიტიკა, ისტორიული წინამძღვრები.
- **დამოკიდებული ცვლადია:** რადიკალური სეპარატისტული განწყობა ბასკეთში, სეპარატისტული განწყობის არარსებობა კატალონიაში.

თანამედროვე პერიოდში:

- **დამოუკიდებელი ცვლადია:** ბასკური და კატალონიური პოლიტიკური ელიტების მიერ განხორციელებული პოლიტიკა, ისტორიული მეხსიერება, ეკონომიკური და კულტურული ფაქტორები
- **დამოკიდებული ცვლადია:** სეპარატისტული განწყობა კატალონიაში, სეპარატისტული განწყობის არარსებობა ბასკეთში.

თეორიული ჩარჩო

ბასკური და კატალონიური ნაციონალიზმების ხასიათისა და გამომწვევი მიზეზების ახსნას შევეცდები **პოლ ბრასის ინსტრუმენტალიზმის** მიხედვით, ხოლო დამხმარე თეორიად გამოყენებული მაქვს **სტუარტ კაუფმანის შიდა-ეთნიკური კონფლიქტის „საერთაშორისო“ თეორია.** მიზეზი იმისა, თუ რატომ შევარჩიე აღნიშნული თეორიები შემდეგში მდგომარეობას: ნაციონალიზმთან და ეთნიკურობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე ეთნიკური დაპირისპირებების გამომწვევ მიზეზებზე ინსტრუმენტალიზმის ამხსნელობითი უნარი დიდია, ხოლო რაც შეეხება სტუარტ კაუფმანის შიდა-ეთნიკური კონფლიქტის „საერთაშორისო“ თეორია-ს, იგი სტრუქტურულად გამართულად წარმოაჩენს შიდა ეთნიკური კონფლიქტების გამომწვევ მიზეზებს, მასში მონაწილე სხვადასხვა აქტორებს და მათ მიზნებს, აქედან გამომდინარე, ეს თეორია შეავსებს ინსტრუმენტალიზმის ხარვეზებს და დამეხმარება სრულყოფილად ჩამოვაყალიბო პასუხი ჩემს საკვლევ კითხვებზე.

ინსტრუმენტალიზმი

ეთნიკურობა და ნაციონალიზმი მრავალი თეორეტიკოსისა და პოლიტიკის მეცნიერის განხილვის საგანს წარმოადგენს. **პოლ ბრასმა** წარმოადგინა თეორია ინსტურმენტალიზმი- რომელიც ეთნიკურობის და ნაციონალიზმის ინსტრუმენტალურ ხასიათზე აკეთებს აქცენტს. პოლ ბრასის მიხედვით, ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის კვლევა არის იმ პროცესის შესწავლა, რომელშიც ელიტების მიერ ხდება კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის კულტურული ასპექტების არჩევა და მათთვის ახალი ღირებულებებისა და მნიშვნელობის მინიჭება, რომელსაც შემდეგ ელიტები იყენებენ როგორც სიმბოლოებს კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის მობილიზაციისთვის, თავიანთი ინტერესების დასაცავად ან სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შეჯიბრისთვის. (Ahmad, 2013, p.73)

ინსტუმენტალიზმის მთავარი დებულება არის ის, რომ ელიტები იყენებენ ეთნიკურ და ნაციონალურ იდენტობას მასების მხარდაჭერის მოსაპოვებლად. მათი

მთავარი მიზანი სიმდიდრის, პრესტიჟისა და ძალაუფლების მიღებაა. ელიტების მიერ ხდება კულტურის „ფაბრიკაცია“, ხოლო მათი მთავარი მიზანი ეკონომიკური თუ პოლიტიკური უპირატესობის გაძლიერებაა. (LLobera, 1999, p.26)

პოლ ბრასი ხაზს უსვამს ნაციონალური მოძრაობების დამოკიდებულებას პოლიტიკურ ფაქტორებზე. იგი გამოყოფს სამ ფაქტორს: ის **სტრატეგიები**, რომელსაც ირჩევენ ნაციონალისტური პოლიტიკური ორგანიზაციები, **მთავრობის პასუხი** ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებზე (პასუხი შეიძლება იყოს გენოციდი, დეპორტაცია, დიალოგი და მოლაპარაკებები, დეცენტრალიზაციის პოლიტიკა და სხვა) და ზოგადი **პოლიტიკური კონტექსტი.** (Ahmad, 2013, p.73)

სტუარტ კაუფმანის შიდა-ეთნიკური კონფლიქტის „საერთაშორისო“ თეორია

სტუარტ კაუფმანის შიდა-ეთნიკური კონფლიქტის „საერთაშორისო“ თეორიის მიხედვით, შიდა-ეთნიკური დაპირისიპირების მიზეზი შეიძლება იყოს **1) მასების მიერ მართული ძალადობა 2) ელიტების მიერ მართული ძალადობა 3) შიდა-ეთნიკური უსაფრთხოების დილემა.** მასებს შორის არსებული მტრული დამოკიდებულება ელიტებს უბიძგებს რადიკალური ზომების მიღებისკენ; ელიტები თავიანთი პოლიტიკური მიზნებისთვის აღვივებენ ეთნიკურ შუღლს და ორივე ერთად საფრთხეს უქმნის ჯგუფებს, ქმნის შიდა ეთნიკურ უსაფრთხოების დილემას. (Kaufman, 1996, p.150)

1) **მასების მიერ მართული ძალადობა-** თუ ელიტები არ გააკეთებენ იმას, რასაც მასები ითხოვენ, მასები მათ შეცვლიან. გამოიყოფა მასების მიერ მართული ძალადობისთვის დამახასიათებელ რამდენიმე ნიშანი, მათგან მნიშვნელოვანია: ერთი ჯგუფის **ისტორიული დომინირება** მეორეზე, რაც წარმოშობს უსაფრთხოების დილემას ეთნიკური გადაშენების შიშით, **ეთნიკური სტერეოტიპების არსებობა,** რაც ხელს უწყობს მასების მტრულ დამოკიდებულებას და **ეთნიკური სიმბოლოების კონფლიქტი**. (Kaufman, 1996, p. 153)

2) **ელიტების მიერ მართული ძალადობა-** ლიდერები იყენებენ ძალაუფლებას, ბიუროკრატიულ გზებს, თავიანთ გავლენას მედიის საშუალებებზე და განზრახ ავრცელებენ დამახინჯებულ ინფორმაციას, რათა ხელი შეუწყონ მასების მტრული დამოკიდებულების ზრდას. ისინი მასებს არწმუნებენ იმაში, რომ სახელმწიფო მათ წინააღმდეგ აგრესიას იყენებს, რაც ქმნის შიდა ეთნიკური უსაფრთხოების დილემას. გარდა ამისა, ისინი იყენებენ შოვინიზმის ელემენტებსა და ქმნიან სტრატეგიულ მითებს, რაც მასების მობილიზაციას უწყობს ხელს. (Kaufman, 1996, pp.154-155)

3) **შიდა-ეთნიკური უსაფრთხოების დილემა-** თითოეული ჯგუფი ცდილობს დაიცვას თავისი ინტერესები, რაც საფრთხეს უქმნის მეორე ჯგუფს და მის მიზნებს, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს ძალადობის ესკალაციას და წარმოიქმნება შიდა ეთნიკური უსაფრთხოების დილემა. მასების მიერ მართულ ძალადობაში, ექსტრემისტები ძალადობის გამოყენებით უსაფრთხოების დილემას უფრო ამწავებენ, ხოლო ელიტების მიერ მართულ ძალადობაში უსაფრთხოების დილემა იქმნება ხელოვნურად აგრესიული ელიტების მიერ. (Kaufmnan, 1996. pp.169-170)

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

მოცემულ ნაშრომში გამოყენებულია როგორც სამეცნიერო სტატიები, ისე ცნობილი ესპანური, კატალონიური და სხვა უცხოური მედია-საშუალებების მიერ გამოქვეყნებული ანალიტიკური ესეები და ანგარიშები.

ნაშრომში გამოყენებულია **სტიუარტ კაუფმანის „ეთნიკური ომის საერთაშორისო თეორია.“** აღნიშნულ ნაშრომში მას ქენეთ უოლცის სამი დონე, გამოყენებული აქვს შიდა ეთნიკური კონფლიქტის ასახსნელად. კაუფმანი ეთნიკური ომის გამომწვევ მიზეზად ასახელებს მასების/ელიტების მიერ მართულ ძალადობას და შიდა ეთნიკურ უსაფრთხოების დილემას. (Kaufman, 1996)

ანტონიო გერერო ტორესის სამეცნიერო სტატია: **„ბასკური ნაციონალიზმის წარმოშობა“,** რომელშიც ავტორი დეტალურად განიხილავს ბასკური ნაციონალიზმის საფუძვლებს 19-ე საუკუნეში და თანამედროვე პერიოდში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ დახასიათებული ბასკური ნაციონალიზმის ფუძემდებლის საბინო არანას პოლიტიკა და მისი იდეოლოგიის ძირითადი პოსტულატები. მან განიხილა ბასკური ნაციონალიზმის ორი სახე: რადიკალური სეპარატისტული ნაციონალიზმი და ბასკური ნაციონალისტური პარტიის ნაციონალიზმი, რომლებიც ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება იდეოლოგიით, დამოკიდებულებებით და ბრძოლის მეთოდებით. (Torres, 2000)

სტენლი პეინის სტატია: „კატალონიური და ბასკური ნაციონალიზმი“, რომელშიც ავტორი კატალონიურ და ბასკურ ნაციონალიზმს განიხილავს ქრონოლოგიურად, მე-15 საუკუნიდან დღემდე. ამ ნაშრომიდან მნიშვნელოვანია კატალონიური რენესანსის წარმოშობა, ასევე, კატალონიური ნაციონალიზმის ფუძემდებლის ვალენტი ალმირალის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მოვლენები და მისი იდეოლოგიის ძირითადი პოსტულატები. ავტორი ასევე საუბრობს პირველი კატალონიური პოლიტიკური პარტიის და მისი ძირითადი იდეების შესახებ. (Payne, 1971)

აურორა მადაულას სტატია: „კატალონიური ნაციონალიზმი: ნაბიჯი დამოუკიდებლობისკენ“ აღნიშნული სტატიიდან მნიშვნელოვანია მე-19 საუკუნის კატალონიური ნაციონალიზმის ავტორისეული დახასიათება. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ აღნიშნულ პერიოდში კატალონიური ნაციონალიზმი იყო ფედერალისტური ხასიათის, რომლის მიზანი იყო არა სეპარატიზმი, არამედ ესპანეთის შემადგენლობაში ავტონომიის მოპოვება. იგი ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებთან ერთად განიხილავს სოციალურ ფაქტორებს, რომლებიც დიდ როლს თამაშობს ნაციონალური მოძრაობისთვის და აღნიშავს, რომ ესპანური ნაციონალიზმი მოძველდა, ხოლო ესპანეთის ახლანდელი კონსტიტუცია, კატალონიელი ხალხის მიზნების განხორციელებაში დაბრკოლებას წარმოადგენს. (Madaula, 2012)

განსაკუთრებით გამოვყოფდი **დანიელ კონვერსის** ნაშრომს: **„ბასკები, კატალონიელები და ესპანეთი“** , რომელშიც ავტორი დეტალურად განიხილავს ბასკური და კატალონიური ნაციონალიზმის ისტორიულ წინამძღვრებს 19-ე საუკუნეში, ასევე, ფრანკოს პერიოდში ბასკეთსა და კატალონიაში მიმდინარე მოვლენებს და ეტა-ს საქმიანობის დინამიკას. აღნიშნული ნაშრომიდან მნიშვნელოვანია ის ნაწილი, რომელშიც ავტორი ქრონოლოგიურად განიხილავს ფრანკოს მიერ განხორციელებულ პოლიტიკას და აღნიშნავს, რომ კატალონიელების შემთხვევაში ფრანკო უშვებდა კულტურული ნაციონალიზმის გარკვეულ ნიშნებს, ხოლო ბასკების შემთხვევაში ნაკლებად, თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ 70-იანი წლებიდან ფრანკოს რეჟიმი ნელ-ნელა სუსტდება და მისი ძალადობრივი ქმედებებიც მცირდება. ავტორი ასევე საუბრობს იმ პერიოდში მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ, კერძოდ, განიხილავს ესპანეთის და აშშ-ს მეგობრულ ურთიერთობებს და დასავლეთის იზოლაციონისტურ დამოკიდებულებას ფრანკოს ძალადობრივი პოლიტიკის მიმართ, რაც, მისი აზრით, ეტა-ს წარმოშობის ძირითადი მიზეზი გახდა. (Conversi, 1997)

დევიდ გისი საკუთარ სტატიაში: **„ქვეყანა ესპანეთში“** მიმოიხილავს კატალონიის პრეზიდენტის ჯორდი პუჟოლის 23 წლიან მმართველობას, მის მიერ გატარებულ პოლიტიკას და ხაზს უსმავს მის განსაკუთრებულ წვლილს კატალონიური

ნაციონალიზმის აღზევებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთ-ერთი თავი, რომელშიც ავტორი ბარსელონას 1992 წლის ოლიმპიურ თამაშებზე საუბრობს და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ჯორდი პუჟოლმა სპორტი პოლიტიკურ ინსტრუმენტად აქცია და მისი საშუალებით ცდილობდა მასებისთვის სეპარატისტული სლოგანების გადაცემას, თუმცა, დასკვნით ნაწილში, გისი აღნიშნავს, რომ მიუხედავად პროვოკაციული ხასიათისა, პუჟოლი ცენტრალურ მთავრობასთან კარგ ურთიერთობას ინარჩუნებდა და მან დიდი როლი ითამაშა კატალონიური კულტურისა და ენის შენარჩუნებასა და ოლიმპიური თამაშების საშუალებით კატალონიის საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენაში. (Gies, 1994)

ნატალია საბანაძის ნაშრომი: **„გლობალიზაცია და ნაციონალიზმი: ბასკეთის და საქართველოს შემთხვევა".** ამ ნაშრომიდან გამოვყოფდი მეხუთე თავს, რომელშიც ავტორი განიხილავს ეტა-ს საქმიანობას, მისი წარმოშობის წინამძღვრებს და ხსნის იმ მიზეზებს, თუ რატომ გამოირჩეოდა ეტა ძალადობრივი ქმედებებით. იგი ხაზს უსვამს იმ პერიოდში ბასკური ინტელიგენციის სისუსტესა და საუნივერსიტეტო ტრადიციის არქონას, აქვე საუბრობს ბასკეთის ეკონომიკურ წარმატებაზე, რომელმაც, პირიქით, კიდევ უფრო შეუწყო ხელი ეტა-ს ძალადობრივ ქმედებებს, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ფრანკოს ძალადობრივმა ქმედებებმა ეტა-ს ლეგიტიმურობა გაზარდა და ბასკების ნაციონალური გრძნობები კიდევ უფრო გააღრმავა. (Sabanadze, 2010)

პატრიცია ნეთზლის ნაშრომი: „ტერორიზმი" რომელშიც განხილულია ეტა-ს საქმიანობის დინამიკა, როგორც ნაშრომის ამ ნაწილში იკვეთება საწყის ეტაპზე ეტა მასებისგან დიდ მხარდაჭერით ხასიათდებოდა, თუმცა, ფრანკოს დიქტატურის დასასრულის შემდეგ მისი პოპულარულობა იკლებს და ეტა ლეგიტიმურობას კარგავს, თუმცა მიუხედავად ამისა ეტა კვლავ განაგრძობს ტერორისტული აქტების განხორციელებას და როგორც ავტორი აღნიშნავს, ტერორისტული აქტების 90% ეტა-მ სწორედ ფრანკოს დიქტატურის დასასრულის შემდეგ ჩაიდინა. (Netzley, 2007)

ქართულენოვანი წყაროებიდან მნიშვნელოვანია **გიორგი ხუბუას** ნაშრომი: **„ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი",**

რომელშიც განხილულია ესპანეთის ადმინისტრაციული მოწყობა, ავტონომიების უფლებები და მოვალეობები და ესპანეთის კონსტიტუციის მნიშვნელოვანი დებულებები. (ხუბუა, 2000)

სტატიების გარდა, ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემები, მათ შორის კატალონიის მთავრობის „აზრის კვლევების ცენტრის“ კვარტალური კვლევების ანგარიშები, ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტის ბაზაზე დაარსებული „სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის“ მიერ თითოეულ წელიწადს მომზადებული სოციოლოგიური კვლევის ანგარიშები და ესპანეთის კონსტიტუციის საკვლევი თემისთვის მნიშვნელოვანი მუხლები, რომლებიც ავტონომიების უფლება- მოვალეობებს, ენასა და ეთნიკურ სიმბოლოებს ეხება.

მეთოდოლოგია და ნაშრომის სტრუქტურა

მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგია დაფუძნებულია თვისებრივ კვლევაზე და საბაზისო მეთოდოლოგიურ მიდგომად სოციალურ მეცნიერებებში ფართოდ გავრცელებულ **შემთხვევის შესწავლის (Case- Study)** და **შედარებითი კვლევის (Comparative research)** მეთოდს იყენებს.

კვლევის პროცესში გაანალიზდა მეორადი წყაროები, სამეცნიერო ლიტერატურა, ესპანურენოვანი და ინგლისურენოვანი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები, სტატიები, ელექტრონულ მედიაში მოძიებული მასალები.

ბასკურ და კატალონიურ ნაციონალიზმის განვითარებაში პოლიტიკური ელიტების დიდი როლის გამო ნაშრომში ასევე გამოყენებულია ე.წ დისკურსის ანალიზი **(Discourse Analysis)** - კერძოდ, სხვადასხვა საჯარო პირთა, პოლიტიკოსთა ინტერვიუების, განცხადებებისა და ნააზრევების დამუშავება და განხილვა.

ნაშრომი ასევე მოიცავს სტატისტიკური მონაცემების, სხვადასხვა რაოდენობრივი კვლევების, სოციოლოგიური გამოკითხვების, ეკონომიკური თუ დემოგრაფიული მონაცემების შემცველი ცხრილებისა და გრაფიკების ანალიზს.

ნაშრომის სტრუქტურა:

ნაშრომი სტრუქტურად პირობითად 4 ნაწილად არის გაყოფილი. პირველი ნაწილი შესავალი ნაწილის გარდა, ეთმობა ბასკეთის და კატალონიის ავტონომიური რეგიონების ზოგად მახასიათებლებს და მოკლე ისტორიულ მიმოხილვას.

ნაშრომის მეორე ნაწილში განხილული იქნება ბასკური და კატალონიური ნაციონალიზმების ხასიათი ფრანცისკო ფრანკოს მმართველობის პერიოდში და თანამედროვე ეპოქაში. ნაშრომის მესამე ნაწილში წარმოვადგენ ბასკური და კატალონიური ნაციონალიზმების შედარებით ანალიზს (როგორც მე-20 საუკუნეში ასევე თანამედროვე პერიოდში). ხოლო, ნაშრომის დასკვნითი ნაწილი დაეთმობა კვლევის შედეგების შეჯამებას.

თავი 1. სეპარატიზმი და თვითგამორკვევა

სეპარატისტული ნაციონალიზმი მიზნად ისახავს დამოუკიდებელი სახელმწიფოს, საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ჩამოყალიბებას. (დავითაშვილი, 2003, გვ. 78).

გაეროს პრაქტიკაში არსებული განმარტების თანახმად, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება 1970 წლის დეკლარაციას, ასევე 1993 წლის ვენის დეკლარაციას და მოქმედებათა პროგრამას, სახელმწიფოსგან გამოყოფა ნებადართულია შემდეგ შემთხვევებში: ა)თუ ეს შეეხება იმ ხალხების ტერიტორიებს, რომლებიც ექვემდებარება **დეკოლონიზაციას** ბ)თუ ეს გათვალისწინებულია მოცემული სახელმწიფოს **კონსტიტუციაში** გ)თუ ტერიტორია, რომელიც დასახლებულია გარკვეული ხალხით, **ანექსირებული** იქნა 1945 წლის შემდეგ. დ)თუ ხალხები ცხოვრობენ იმ სახელმწიფოში, რომელიც არ იცავს მათთან მიმართებაში **თანასწორობისა და თვითგამორკვევის** პრინციპს. (პიპინაშვილი, 2009, გვ.118)

თუ აღნიშნულ პუნქტებს ბასკურ და კატალონიურ სეპარატიზმთან მიმართებაში განვიხილავთ აღმოჩნდება, რომ არც ბასკეთის და არც კატალონიის ავტონომიურ რეგიონებს არ აქვთ არანაირი იურიდიული უფლება გამოეყონ ესპანეთს და დამოუკიდებელი სამართლის სუბიექტი შექმნან: ზემოთაღნიშული პუნქტებიდან ა და გ პუნქტი შეგვიძლია მარტივად გამოვრიცხოთ, რადგან ეს ტერიტორიები არ ექვემდებარებიან დეკოლონიზაციას და ისინი არ იყვნენ ანექსირებულნი 1945 წლის შემდეგ. რაც შეეხება ბ პუნქტს, ესპანეთის 1978 წელს მიღებული კონსტიტუცია აღიარებს „ესპანელი ერის განუყოფელ ერთიანობას. "კონსტიტუცია ასევე განამტკიცებს იმ ეროვნებებისა და რეგიონების უფლებას ავტონომიაზე, რომლებიც აყალიბებენ „ერთადერთ ესპანელ ერს" (ხუბუა, 2000, გვ. 78) გარდა ამისა, ესპანეთის კონსტიტუციის 155 მუხლში წერია, რომ თუ ავტონომიური რესპუბლიკა არ ასრულებს კონსტიტუციის ვალდებულებებს ან სხვა კანონებს, ან მისი ქმედებები აზიანებს ესპანეთის საერთო ეროვნულ ინტერესებს, ცენტრალური მთავრობა მოთხოვს აღნიშნული ავტონომიური რესპუბლიკის პრეზიდენტს

დაიცვას ვალდებულებები და თუ მოთხოვნები არ შესრულდა, მაშინ, სენატის აბსოლუტური უმრავლესობის თანხმობით, შეუძლია მიიღოს საჭირო ზომები, კერძოდ, აიძულოს იგი დაემორჩილოს კონსტიტუციურ ვალდებულებებს და დაიცვას ესპანეთის საერთო ეროვნული ინტერესები. (Constitución Española. 1978, art. 155)

რაც შეეხება დ პუნქტს: თანასწორობას და თვითგამორკვევას, თვითგამორკვევის უფლების შინაარსი არ გულისხმობს მხოლოდ რომელიმე სახელმწიფოს შემადგენლობიდან გამოყოფას. თვითგამორკვევის უფლების შინაარსი ასევე მდგომარეობს იმაში, რომ ხალხს ჰქონდეს ისეთ პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ გარემოში ცხოვრების შესაძლებლობა, სადაც გათვალისწინებული იქნება ინდივიდუალური თავისებურებები, ასევე დაცული იქნება ხალხის იდენტურობის განმსაზღვრელი კულტურული, სოციალური და სხვა ფაქტორები. ამ შემთხვევაში, თვითგამორკვევის უფლება შეიძლება დავიყვანოთ ავტონომიის უფლებაზე. (ხუბუა, 2000, გვ. 169-170)

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ესპანეთი დახასიათებულია როგორც „ავტონომიების სახელმწიფო“ ავტონომიების უფლება აღიარებულია როგორც უკვე მოცემული და რეგიონული ერთეულებისთვის იმანენტური უფლება. (ხუბუა, 2000, გვ 79)

ასევე, ესპანეთის კონსტიტუციის მე-3 მუხლის მიხედვით, კასტილიური (ესპანური) არის სახელმწიფოს ოფიციალური ენა. ყველა ესპანელს აქვს ვალდებულება იცოდეს და ასევე აქვს მისი გამოყენების უფლება. თუმცა, აქვე აღნიშნულია რომ 3.2 სხვა ენები ასევე არიან ოფიციალური ენები შესაბამისს ავტონომიურ რეგიონებში და მეოთხე მუხლის მიხედვით, ყველა ავტონომიურ რეგიონს აქვს თავისი დროშის ქონისა და გამოყენების უფლება. (Constitución Española, art.3, p.9)

თავი 2. ბასკეთის და კატალონიის ავტონომიური რეგიონების ზოგადი მახასიათებლები

ბასკეთი

ბასკეთი (ესპანურად: **Pais Vasco-** ბასკების ქვეყანა, ბასკურად- **Euskadi** ან **Euskal Herria**- ბასკური ქვეყანა) არის ავტონომიური გაერთიანება და ისტორიული რეგიონი ესპანეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, მის ჩრდილოეთ ნაწილში. მოიცავს სამ პროვინციას: ბისკაიას, გიპუსკოას და ალავას. რეგიონს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ბისკაის ყურე, აღმოსავლეთიდან- ნავარა, სამხრეთიდან- ლა რიოხა და დასავლეთიდან- კანტაბრია. რეგიონის ფართობი შეადგენს 7.235 ათასი კვ.კმ-ს. მოსახლეობა- 2,188,985 კაცი (2011 წლის მონაცემებით), ბასკეთის რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრია- ვიტორია-გასტეისი. (Rodriguez, 2015)

ბასკური ენას- ანუ ეუსკერას ევროპის ყველაზე ძველ და ყველაზე მისტიკურ ენად მოიხსენიებენ. იგი იზოლირებული ენაა და ნათესაობას არ ავლენს სხვა არცერთ ენობრივ ოჯახთან, რაც ბევრი ექსპერტისა და ლინგვისტვისთვის ჯერ კიდევ გადაუჭრელ ამოცანად რჩება. (Bitong, 2017)

2016 წლის მონაცემებით, ესპანეთში ეუსკერაზე საუბრობს 751,500 ადამიანი, რაც ბასკეთის მოსახლეობის 28%-ს შეადგენს, მოსახლეობის 55%-მა არ იცის ბასკური ენა, ხოლო 16%-ს ესმის, თუმცა ვერ საუბრობს. (Hella Basque, 2018)

რაც შეეხება ბასკეთის **ეკონომიკურ მახასიათებლებს,** იგი ესპანეთის ერთ-ერთი მაღალგანვითარებული რეგიონია. მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით, ბასკეთი ესპანეთის რეგიონებს შორის მე-5 ადგილზეა, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე- მე-2 ადგილზე, მადრიდის შემდეგ (2017 წლის მონაცემებით). (Datosmacro, 2017).

ბასკეთში ესპანეთის სხვა რეგიონებთან შედარებით, ყველაზე დაბალია უმუშევრობის დონე და შეადგენს 9,6%-ს (2018 წლის მონაცემებით). (Datosmacro, 2018)

კატალონია

კატალონია (ესპანურად- **Cataluña,** კატალონიურად- **Catalunya**) არის ავტონომიური გაერთიანება და ისტორიული რეგიონი ესპანეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. მოიცავს ოთხ პროვინციას: ბარსელონას, ლეიდას, ჟირონასა და ტარაგონას. ჩრდილოეთიდან ესაზღვრება- ანდორა და საფრანგეთი, აღმოსავლეთიდან- ხმელთაშუა ზღვა, დასავლეთიდან არაგონის, ხოლო სამხრეთიდან- ვალენსიის ავტონომიური ერთეულები. მისი ფართობი შეადგენს 32,108 კვ.კმ. მოსახლეობა-7,519,838 კაცი (2011 წლის მონაცემებით). ადმინისტრაციული ცენტრი- ბარსელონა (ესპანეთის სიდიდით მეორე ქალაქი). (Rodriguez, 2019)

კატალონიური ენა (Catalan), ბასკურისგან განსხვავებით, ესპანურთან ერთად შედის ინდოევროპულ ენათა ოჯახში და ძალიან ჰგავს კასტილიურს (ესპანურს). კატალონიურ ენაზე კატალონიის გარდა ასევე საუბრობენ ვალენსიის რეგიონში და ბალეარის კუნძულებზე. კატალონიური ენა მსგავსებას ავლენს ოქსიტანურ ენასთან, რომელიც საფრანგეთის სამხრეთით არის გავრცელებული. გარდა ამისა, ბევრი მკვლევარის აზრით, კატალონიური და ვალენსიური ენა უნდა განვიხილოთ როგორც ერთი ენა, განსხვავებული სახელწოდებით. (Sala, 2015)

კატალონიური ენის ცოდნის დონე რეგიონში საკმაოდ მაღალია. 2013 წლის მონაცემებით, მოსახლეობის 95,1% აცხადებს რომ ესმის, ხოლო მოსახლეობის 73,2% საუბრობს კატალონიურად. (Rico, 2018)

რაც შეეხება კატალონიის ეკონომიკურ მახასიათებლებს, ისიც ბასკეთის მსგავსად, ესპანეთის ერთ-ერთი ყველაზე მაღალგანვითარებული რეგიონია. ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით, კატალონია ესპანეთის რეგიონებს შორის პირველ ადგილზეა (2017 წლის მონაცემებით), ხოლო ერთ სულ მოსახლეზე- მე-4 ადგილზე. (2017 წლის მონაცემებით). (Datosmacro, 2017)

რაც შეეხება უმუშევრობის დონეს, კატალონიაში უმუშევარია მოსახლეობის 11,8% (2018 წლის მონაცემებით) და იგი ამ მაჩვენებლით ესპანეთის სხვა რეგიონებს შორის მე-9 ადგილზეა. (Datosmacro, 2018)

თავი 3. მოკლე ისტორიული მიმოხილვა

ბასკეთი

1876 წლამდე ბასკები ინარჩუნებდნენ **„ფუეროსებს“**, რაც გულისხმობდა იმას, რომ ბასკებს ჰქონდათ დამოუკიდებლად მართვის უფლება და ისინი დანარჩენ ესპანეთში მოქმედი სხვადასხვა კანონისა თუ გადასახადისაგან თავისუფლდებოდნენ. ფუეროსების გაუქმებამ ბასკეთში უკმაყოფილების პირველი ტალღა წარმოშვა. სწორედ ამ პერიოდში იწყება ბასკური ნაციონალიზმის წარმოშობა. (Macko, 2011, p.6)

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ბასკეთში **კარლიზმის** მხარდაჭერთა დიდი რაოდენობა. კარლისტების მოძრაობა მოითხოვდა ესპანეთის ტახტიდან იზაბელ მეორის ჩამოგდებას და ნამდვილი მემკვიდრის გამეფებას. დარჩენ ესპანეთთან შედარებით, ბასკეთში კარლისტების მოძრაობა ყველაზე ძლიერი იყო, რაც მათ კონსერვატიულ ხასიათზე და ტრადიციებისადმი დიდ ერთგულებაზე მიუთითებს. სწორედ ამ პერიოდში ბასკეთში გამოჩნდა ლიდერი **საბინო არანა**, რომელიც კარლისტების მხარდამჭერი და შესაბამისად, ბასკების დიდი ნაწილისთვის მისაღები ფიგურა იყო. საბინო არანა ბასკური ნაციონალიზმის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფიგურად მიიჩნევა. იგი წარმოადგენდა ბასკების კონსერვატიულ და ტრადიციონისტურ ბუნებას და ბასკური ტრადიციების დასაცავად ძალ-ღონეს არ იშურებდა. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ არანა დიდ დროს უთმობდა ეუსკერას შესწავლას (მან ეუსკერას შემატა ახალი სიტყვები და ენას ახალი სიცოცხლე შესძინა). **1895** წელს საბინო არანა აარსებს **ბასკების ნაციონალისტურ პარტიას** (PNV-ს). (Macko, 2011, pp. 7-9)

მნიშვნელოვანია გამოვყოთ საბინო არანას იდეოლოგიის ძირითადი პოსტულატები:

1) **ბასკური იდენტობის დაცვა (განსაკუთრებით კათოლიკური ეკლესიის ერთგულება)**

2) **ეუსკადის** (არანას მიერ შექნილი ტერმინი) **არსებობის ხაზგასმა (რომელიც მოიცავდა ბისკაიას, გიპუსკოას და ალავას და რომელსაც, არანას აზრით, ნავარაც უნდა შეერთებოდა)**
3) **ბასკური ენის დაცვა (მან შექმნა „ეუსკერა ბატუა"- რომელშიც მოხდა სხვადასხვა ბასკური დიალექტის გაერთიანება)**
4) **ლიბერალიზმის უარყოფა (ლაიციზმის, ეკონომიკური რეფორმების, იმიგრაციის და რასების აღრევის უარყოფა)**
5) **ბასკური რასის დაცვა და მისი განსხვავებულობის ხაზგასმა.** (Torres, 2000, pp. 8-9)

მისი იდეოლოგიის მთავარი დევიზი იყო: „jaungaikoa eta lagi-zara", რაც ითარგმნება როგორც: **„ღმერთი და ძველი კანონი"** ბასკეთის ნაციონალისტური პარტიის მთავარი დასაყრდენი იყო „ბატზოკი" - ბასკური ცენტრები, რომელთა მთავარი მიზანი ბასკური კულტურის დაცვა, მოსახლეობასთან პირდაპირი კონტაქტი და ბასკების ერთი იდეოლოგიის გარშემო გაერთიანება იყო. საბინო არანას მთავარი მიზანი ბასკეთის დამოუკიდებლობასთან ერთად, ბასკების დარწმუნება იყო იმაში, რომ მათ უნდა დაეცვათ სამშობლო- ბასკეთი და არა სამშობლო- ესპანეთი. საბინო არანა განსაკუთრებით უპირისპირდებოდა სოციალისტურ პარტიას, რომელიც ბასკეთში ჩამოსული უცხოელი მუშახელის უფლებებს იცავდა, მისი აზრით, ისინი ბასკური კულტურისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდენ. (Torres, 2000, pp. 9-10)

საბინო არანამ, რომელიც მუდამ ბასკების აღმატებულობაზე და განსხვავებულობაზე აკეთებდა აქცენტს, დიდი როლი ითამაშა იმაში, რომ ბასკებს თავიანთი განხვავებული კულტურა უკეთ გაეაზრებინათ. არანას რადიკალური იდეები მოგვიანებით ეტა-ს ძირითად იდეებად იქცა. მისი დაკავებისა და მოგვიანებით, 1903 წელს გარდაცვალების გამო არანამ თავისი იდეების განხორციელება ვერ მოასწრო. 1903 წლიდან 1936 წლამდე პერიოდი ბასკურ ნაციონალიზმში გარდამავალ პერიოდად მიიჩნევა, როდესაც ბასკური ნაციონალისტური პარტია დიდ კრიზისის განიცდიდა, კარგავდა მხარდაჭერასა და

წარმომადგელობითობას ესპანეთში. 1923 წლიდან ესპანეთში იწყება გენერალ **პრიმო დე რივერას** დიქტატურა, რომელმაც ქვეყნის სათავეში მოსვლისთანავე გამოსცა დეკრეტი, რომლის მიხედვითაც ნაციონალური მობილიზაციის ყველნაირი აქტი იკრძალებოდა, თუმცა, ფრანკოსგან განსხვავებით, ბასკების მიმართ პირდაპირი ძალადობისთვის მას არ მიუმართავს. 1931 წელს ესპანეთში მონარქია დაემხო. (Macko, 2011, pp.11-12)

რესპუბლიკის დამყარების შემდეგ, 1932 წელს, კატალონიამ, ხოლო 1936 წელს ბასკეთმა და გალისიამ მოიპოვეს ავტონომია. იგი მხოლოდ 9 თვე გაგრძელდა. 1936 წლიდან ესპანეთში იწყება ფრანცისკო ფრანკოს დიქტატურა. (Esparza, 2017)

კატალონია

მე-18 საუკუნეში კატალონიაში კატალონიურ ენას გაქრობის საფრთხე დაემუქრა. კატალონიაში ფაქტობრივად აღარ საუბრობდნენ კატალონიურად. კასტილიური (ესპანური) გახდა ძირითადი პოლიტიკური, კულტურული და სალიტარატურო ენა. 1830 წლიდან კატალონიაში იწყება კულტურული რენესანსი (Renaixença), რაც გულისხმობდა კულტურული ნაციონალიზმის გამოღვიძებას. თავდაპირველად, კატალონიური რენესანსი მხოლოდ ელიტის მცირე ჯგუფებისთვის იყო ხელმისაწვდომი და კატალონიის ფართო საზოგადოებისთვის უცხო რჩებოდა. კატალონიური ნაციონალიზმისა და პოლიტიკური კატალანიზმის (მოძრაობა, რომლის მიზანია კატალონიის პოლიტიკური და კულტურული აღიარება) ფუძემდებლად მიჩნეულია **ვალენტი ალმირალი.** 1975 წლამდე იგი ხელმძღვანელობდა ფედერალისტურ პარტიას, ასევე 1870-1874 იგი ხელმძღვანელობდა კულტურულ ასოციაციას „La Jove Catalunya" (ახალგაზრდა კატალონია), რომლის მიზანი იყო ლიტერატურული რენესანსისა და ფედერალისტური პოლიტიკის გაერთიანება. 1880 წელს ალმირალმა დაარსა პირველი კატალონიური ჟურნალი: „დიარი კატალა". მისი ორგანიზებით, გაიმართა პირველი კატალონიური კონგრესი, რომელშიც 1200 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. 1882 წელს მან დაარსა კატალონიური ცენტრი (Centre Catala), რომელშიც ათობით კულტურული ორგანიზაცია და პოლიტიკური

რეგიონალიზმის მომხრე ჯგუფები გაერთიანდნენ. 1886 წელს გამოსცა თავისი პირველი ნაშრომი „კატალანიზმო“, რომელშიც პირველად გააჟღერა პოლიტიკური იდეები. (Payne, 1971, pp. 18-19)

ალმირალის იდეოლოგიის ძირითადი პოსტულატებია:

1.კატალონიას ჰქონდა საკუთარი სამართლის კანონები

2. კატალონიური უნდა გამხდარიყო კატალონიის ოფიციალური ენა და სკოლებში სწავლა უნდა წარმართულიყო კატალონიურ ენაზე

3.კატალონიას უნდა ჰყოლოდა საკუთარი რეგიონული მთავრობა. (Mastrovito, 1993, p. 53)

1880-90- იან წლებში კატალონიაში ადგილი ჰქონდა ოთხ მნიშვნელოვან მოვლენას: 1) კულტურული რენესანსის გავრცელება 2) კატალონიური ინდუსტრიის აღორძინება 3)საშუალო ფენებში ფედერალისტური იდეების გავრცელება 4) კატალონიაში კარლისტების რაოდენობის შემცირება, რომლებიც ტრადიციონისტული იდეებით გამოირჩეოდნენ. კატალონიური ნაციონალიზმის აღმოცენებიდან მხოლოდ 20 წელში შეიქმნა პოლიტიკური პარტია. ვალენტი ალმირალის ჯანმრთელობის გაუარესების გამო, მის მიერ დაარსებული კატალონიური ცენტრი დაარსებიდან ოთხ წელიწადში სტაგნაციას განიცდის. 1887 წელს დრამატურგმა ანგელ გიმერამ დააარსა პოლიტიკური პარტია: **კატალონიის ლიგა (LLiga de Catalunya),** რომლის მთავარი მიზანი იყო კატალონიის მორალური, პოლიტიკური და კულტურული აღორძინება. მოგვიანებით, 1891 წელს კატალონიის ლიგა შეუერთდა კონსერვატიულ კულტურულ ჯგუფს და შეიქმნა „კატალონიის ერთობა“ („Unio Catalanista“), 1892 წელს მათ გამართეს პირველი კონგრესი, რომელსაც კატალონიის 100 ქალაქიდან ესწრებოდნენ დელეგატები, ძირითადად, ინტელექტუალები, თუმცა, მიუხედავად ამისა, ამ მოძრაობას აკლდა პოლიტიკური დღის წესრიგი. (Payne, 1971, pp.20-21)

მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე კატალონიური ნაციონალიზმის მთავარი მიზანი იყო არა ესპანეთისგან გამოყოფა, არამედ ესპანეთის შემადგენლობაში

ფართო ავტონომიის მიღება. კატალონიური ნაციონალიზმი შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც წინააღმდეგობრივი მოძრაობა, რომელიც იბრძოდა ესპანეთის მთავრობის ცენტრალიზაციისა და ჰომოგენიზაციის პოლიტიკის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, ისიც რომ ეს მოძრაობა ყველა ფენასა და იდეოლოგიას აერთიანებდა. მათი მთავარი ინტერესი იყო ავტონომია, კატალონიური იდენტობა და ეკონომიკა. საბოლოო ჯამში, იგი შეიძლება დავახასიათოთ როგორც **ლიბერალური, ფედერალისტური და ინკლუზიური**, კატალონიური ნაციონალიზმის ასეთი ხასიათი გრძელდება მე-20 საუკუნის დასაწყისშიც, როდესაც ნაციონალისტების მთავარ მიზნად კვლავ ავტონომია რჩებოდა. 1914-1923 ალფონსო მე-13-ეს მეფობის დროს და 1931-1936 წლებში მეორე რესპუბლიკის დროს კატალონიამ შეძლო ავტონომიის მოპოვება. თუმცა, ესპანეთის სამოქალაქო ომის და შემდეგ ფრანკოს დიქტატურის დროს, კატალონია კვლავ ავტონომიის გარეშე რჩება. (Madaula, 2012, pp. 37-38)

თავი 4. ბასკური ნაციონალიზმი ფრანცისკო ფრანკოს მმართველობის პერიოდში

ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს 1937 წლის 27 აპრილს ფრანცისკო ფრანკომ გერმანელების დახმარებით ქალაქი გერნიკა დაბომბა. ამ ქალაქს ბასკებისთვის **სიმბოლური მნიშვნელობა** ჰქონდა. იგი იყო ქალაქის კულტურული და პოლიტიკური ცენტრი, სადაც იმართებოდა პოლიტიკური ლიდერების შეხვედრები და ყოველკვირეული ბაზრობა. (Macko, 2011, p.16).

სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ, 1939 წლიდან ადგილი ჰქონდა **სასტიკ ტერორს** ბასკების მიმართ. ფრანკო ახორციელებდა ძალადობრივ კამპანიას, რომელიც მიმართული იყო ბასკური იდენტობის გასანადგურებლად. კანონგარეშედ აცხადებდა სახალხო კულტურის ისეთ ნიშნებსაც კი როგორიცაა მუსიკა და ცეკვა. ბასკების წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიების შესახებ ხოსე ანტონიო აგირე, (იმ პერიოდში ბასკეთის მთავრობის მეთაური, რომელიც ემიგრაციაში იმყოფებოდა) იუნესკოსთვის გაგზავნილ წერილში აღნიშნავს, რომ ფრანკომ ბასკეთში დახურა უნივერსიტეტი, მოეწყო ეუსკერაზე დაწერილი წიგნების სახალხო დაწვის ცერემონია, სკოლებში აიკრძალა ეუსკერას სწავლება, რადიოში, სახალხო შეკრებებზე და პუბლიკაციებში აიკრძალა ეუკსერას გამოყენება, ასევე აიკრძალა ბასკური ენის გამოყენება სახალხო და რელიგიური ცერემონიების დროს, ფრანკომ გამოსცა დეკრეტი, რომლის მიხედვითაც სამოქალაქო და ოფიციალურ დოკუმენტებში უნდა მომხდარიყო ბასკური სახელების გადათარგმნა ესპანურ ენაზე, ამასთან ერთად აიკრძალა სასაფლაოებზე ბასკური წარწერების გაკეთება. ძალის გამოყენებით დახურეს სხვადასხვა კულტურული და სოციალური ასოციაციები. სეპარატიზმის მხარდაჭერის ბრალდების გამო დაახლოებით 100,000-150,000 ადამიანი იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო (ძირითადად საფრანგეთსა და ლათინურ ამერიკაში), მათ შორის იყო 20,000 ბავშვი. (Conversi, 1997, p.81)

1940 წელს ახალგაზრდებმა ჩამოაყალიბეს ბასკი სტუდენტების საზოგადოება (Eusko Ikasle Alkartasuna- EIA), რომელიც იყო აპოლიტიკური ასოციაცია. ისინი ავრცელებდნენ საიდუმლო ბუკლეტებსა და ჟურნალებს. ესპანეთის პოლიციამ ამ ორგანიზაციის ადგილობრივი ლიდერები მალევე დააკავა და ემიგრაციაში გაგზავნა, რამაც საბოლოოდ ამ ასოციაციის დაშლა გამოიწვია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1945 წელს ბასკეთის სათათბირო საბჭომ (Consejo Consultativo Vasco) ემიგრაციაში დაიწყო მოღვაწეობა. მათ ჩამოაყალიბეს ალიანსი, რომელიც შედგებოდა ყველა მნიშვნელოვანი ბასკური პარტიისგან, მათ შორის როგორც მემარცხენე, ისე ნაციონალისტური პარტიებისგან. ეს საბჭო კოორდინერებას უწევდა ესპანეთის წინააღმდეგობის კომიტეტს (Junta de Resistencia). სწორედ ამ კომიტეტის მიერ 1947 წლის 1 მაისს დაიგეგმა მუშების მასობრივი გაფიცვა. აღსანიშნავია ის, რომ ბისკაიის მუშების **75%**-მა მიიღო ამ აქციაში მონაწილეობა, მთავრობამ ეს აქცია ძალის გამოყენებით დაშალა. თუმცა, მიუხედავად ამისა, აქტივისტებმა დაინახეს, რომ შექმნილმა ალიანსმა შეძლო მუშათა კლასის მობილიზაცია და ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ საზოგადოების სხვა კლასებიც გაერთიანებინა. ამას ემატება ისიც, რომ იმ პერიოდში ესპანეთსა და აშშ-ს შორის იწყება მოლაპარაკებების სერია. ესპანეთი ხდება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (1951), იუნესკოს (1952), გაეროს (1955) წევრი. 1953 წელს ესპანეთი ხელს აწერს აშშ-სთან ორმხრივ შეთანხმებას. ყველაფერი ამის გათვალისწინებით და იმის გამო, რომ დასავლური დემოკრატიები განსაკუთრებით, აშშ და დიდი ბრიტანეთი იზოლირებულ დამოკიდებულებას იჩენდნენ ბასკეთში მიმდინარე მოვლენების მიმართ და ფრანკოს რეჟიმს წნეხის ქვეშ არ აქცევდნენ, ბასკებისთვის ნათელი გახადა ის რომ მათ **საერთაშორისო დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდათ,** რაც ეტას წარმოშობის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ბასკეთის ნაციონალისტური პარტია (PNV) ფრანკოს დიქტატურის დროს სრულიად უმოქმედო გახდა. ეკონომიკური აღმავლობის ხანაში ამ პარტიის წევრებმა ფრანკოს მიერ გატარებული პოლიტიკისგან ბევრი მოგება ნახეს. გარდა ამისა, რეჟიმის მიერ გატარებული რეპრესიების შიშით ისინი ნაკლებ ინტერსს

ავლენდნენ ბასკურ სეპარატისტულ ნაციონალიზმში და მხოლოდ კულტურული აქტივობებით კმაყოფილდებოდნენ. (Conversi, 1997, pp. 82-83)

ფრანკოს პოლიტიკა ბასკების მიმართ შეიძლება შევაფასოთ როგორც **განსაკუთრებით სასტიკი და ძალადობრივი.** ფრანკო კარგად აანალიზებდა იმას, რომ ბასკები წარმოადგენდნენ ესპანელებისგან კულტურულად რადიკალურად განსხვავებულ ჯგუფს, მათ ჰქონდათ განსხვავებული **ენა** (ეუსკერა, რომელიც არანაირ მსგავსებას არ ავლენს კასტილიურთან), გარდა ამისა, ბასკები ფიზიკური მახასიათებლებითაც მკვეთრად განსხვავდებოდნენ ესპანელებისგან (ხასიათდებიან კანის ღია, მოწითალო ფერით, დიდი შუბლით) რაც მათ განსხვავებულ **რასად** აყალიბებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ფრანკო, სანამ დიქტატორი გახდებოდა, კარგად აცნობიერებდა ბასკების პოლიტიკურ მისწრაფებებს, მან იცოდა, რომ ბასკებს უკვე ჰქონდათ პოლიტიკური მოთხოვნები და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას აპირებდნენ (რაც გერნიკას დაბომბვითაც დადასტურდა). გერნიკას დაბომბვის შემდეგ ბასკებმა გაანალიზეს, რომ ისინი ფრანკოს სამიზნეს ჯერ კიდევ მის დიქტატორობამდე წარმოადგენდნენ. (Macko, 2011, p. 14)

1950-იანი წლებიდან ბასკეთში იქმნება რამდენიმე ახალგაზრდული დაჯგუფება. ბილბაოში უნივერსიტეტის სტუდენტებმა დაიწყეს ყოველკვირეული შეკრებები, სადაც ეწყობოდა დისკუსიები ისეთ საკითხებზე როგორებიცაა: ბასკეთის ისტორია და კულტურა. 1952 წლისთვის მათი რაოდენობა მხოლოდ- 6-7 ადამიანს შეადგენდა. მათ თავიანთ თავს უწოდეს ეკინი (Ekin- ინგ. To do). მეორე მსგავსი ტიპის დაჯგუფება იყო EGI (Euzko Gastedi del Interior), რომელიც ბასკეთის ნაციონალისტური პარტიის ახალგაზრდულ ფრთას წარმოადგენდა. მოგვიანებით ეს ორი ჯგუფი გაერთიანდა და ბასკეთის ნაციონალისტურ პარტიას შეუერთდა. თუმცა, განსხვავებული ინტერესების გამო ეკინი და ეგი ისევ გამოეყო ბასკეთის ნაციონალისტურ პარტიას და მათ **1959** წლის 31 ივლისს დაარსეს **ეტა**. (Conversi, 1997, pp. 83-84)

4.1 ეტა

ეტას იდეოლოგია ძირითადად დაეფუძნა საბინო არანას იდეოლოგის, თუმცა ეტას წევრებზე დიდი გავლენა იქონია ბილბაოში მოღვაწე ლუდვიგ კრუტვიგის ნაშრომმა „ვასკონია“ (“Vasconia”). არანაც და კრუტვიგიც ბურჟუაზიის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და ბასკური იდენტობის დაღმასვლის მთავარ მიზეზად ურბანული, კაპიტალისტური საზოგადოების განვითარებას მიიჩნევდნენ. თუმცა, არანასგან განსხვავებით, კრუტვიგი ეკლესიის წინააღმდეგ გამოდიოდა. ორივე მათგანი აქცენტს აკეთებდა ენაზე, იმ განსხვავებით რომ თუ არანამ ენას დაუმატა რასა და რელიგია, კრუტვიგისთვის ენასთან ერთად გადამწყვეტი იყო რევოლუციური ძალადობა და, მისი თქმით, რასა და რელიგია აღარ წარმოადგენდა მობილიზაციისთვის ხელსაყრელ ინსტრუმენტებს. (Conversi, 1997, p. 92-94)

ეტა-ს და ბასკეთის ნაციონალისტური პარტიის წევრები ვერ თანხმდებოდნენ სამ საკითხზე: 1) ეტას წევრების მიზანი იყო ესპანეთსა და საფრანგეთში არსებული ბასკური პროვინციების გაერთიანება და ფედერაციის შექმნა, ხოლო ბასკეთის ნაციონალისტური პარტია მხოლოდ ესპანეთის ბასკური პროვონიციების ავტონომიას ითხოვდა 2) ეტა-ს წევრები მოითხოვდნენ ბასკეთის სრულ დამოუკიდებლობას, ხოლო, ბასკეთის ნაციონალისტური პარტია მოითხოვდა 1936 წლის ავტონომიის აღდგენას 3) ეტა-ს წევრების მიზანი იყო, რომ ეუსკერა გამხდარიყო ბასკეთის ოფიციალური ენა, ბასკეთის ნაციონალისტური პარტიისთვის ეს არარეალური იყო. ეტას წევრების აზრით, ბასკების დამოუკიდებლობის მიღწევა შეუძლებელი იყო ლეგალური ფორმებით და მათ აირჩიეს რეჟიმთან კონფრონტაციის სტრატეგია: მოქმედება- რეპრესია- მოქმედება, რაც გულისხმობდა **სახელმწიფოს პროვოცირებას განეხორციელებინა რეპრესია, რასაც მოჰყვებოდა ხალხისგან დიდი მხარდაჭერა,** ძალადობის ესკალაციის შემდეგ იყო უამრავი მსხვერპლი, ძირითადად უდანაშაულო ადამიანები, რის შედეგადაც ხალხის რეაქცია ხდებოდა უფრო რადიკალური და რევოლუციური. სეპარატისტული ნაციონალიზი ფრანკოს დროს გახდა ბასკური იდენტობის ნაწილი. ფრანკოს მიერ განხორციელებულმა რეპრესიებმა შეძლო ის, რომ ეტა-ს წევრები ხალხის თვალში გამხდარიყვნენ წამებულები და თავისუფლებისთვის

მებრძოლები. აღსანიშნავია ისიც, რომ, ფრანკოს მმართველობის პერიოდში, ბასკური ინტელიგენცია იყო სუსტი, რაც ბასკეთში საუნივერსიტეტო ტრადიციის არქონით შეიძლება აიხსნას, ბასკეთში 1968 წლამდე არ არსებობდა სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერთადერთი უნივერსიტეტი იყო იეზუიტთა კერძო სკოლა-დეუსტოს უნივერსიტეტი, რომელიც 1886 წელს დაარსდა ბასკი ოლიგარქების მიერ და იქ განათლების მიღება მხოლოდ ელიტის მცირე ნაწილისთვის იყო ხელმისაწვდომი. აღსანიშნავია ისიც, რომ ეტა-მ ისეთი ნარატივი შექმნა თითქოს ბასკებს საფრთხე ემუქრებოდათ, როგორც ფრანკოს რეჟიმისგან ისე გამალებული ინდუსტრალიზაციიგან. 1950-60-იან წლებში ბასკეთში ადგილი ჰქონდა მეორე ინდუსტრიულ რევოლუციას, განსაკუთრებით განვითარდა მძიმე ინდუსტრია, რის შედეგადაც ბასკეთი გახდა ესპანეთის ყველაზე მდიდარი რეგიონი და ათასობით მიგრანტისთვის განსაკუთრებით მიმზიდველი ადგილი. 1955 წლიდან 1975 წლამდე ბასკეთის მოსახლეობა 60%-ით გაიზარდა, კასტილიელების ხარჯზე, რამაც გაზარდა ბასკური ენისა და კულტურის მარგინალიზაცია და მოსახლეობაში „უცხოების“ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება. იმიგრაციას კარგად იყენებდა ეტა მასებში მიგრანტების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გასაზრდელად. ერთ-ერთი ბასკი ლიდერის თქმით: **„ბასკ ხალხს ემუქრებათ გაქრობის საფრთხე, ყოველწლიურად 20,000 უცხოელის შემოსვლის მიზანი კულტურული გენოციდია.”** (Sabanadze, 2010, pp. 115-167)

აღსანიშნავია რომ ეტა-ს და მის იდეოლოგიას ბასკური ნაციონალიზმის შესახებ 1970-იან წლებამდე ძალიან **ბევრი მხარდამჭერი** ჰყავდა არა მხოლოდ ბასკეთსა და დანარჩენ ესპანეთში, არამედ საფრანგეთშიც. ეტა-ს განხორციელებული ქმედებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს 1973 წელს განხორციელებული ტერაქტი, როდესაც ეტა-ს წევრებმა საავტომობილო გზის იმ ნაწილში დაამონტაჟეს ასეფეთქებელი ნივთიერება, რომელზეც ესპანეთის პრემიერ-მინისტრს და ფრანკოს მარჯვენა ხელს უნდა გაევლო, აფეთქების შედეგად პრემიერ-მინისტრი ადმირალი კარერო ბლანკო დაიღუპა. ფრანკოს გარდაცვალების შემდეგ, ეტა-ს ლეგიტიმურობას საფრთხე დაემუქრა და ეს ორგანიზაცია დაშლის ზღვარზე აღმოჩნდა. ახალმა მთავრობამ ბასკეთს ავტონომია

დაუბრუნა და ბასკეთის ნაციონალისტური პარტიის (PNV) ლეგალიზება მოახდინა, რაც ეტა-ს ზოგი წევრისთვის მისაღები აღმოჩნდა და ბევრმა მათგანმა ეს ორგანიზაცია დატოვა. გარდა ამისა, 1980-იან წლებში ესპანეთის მთავრობამ შეიმუშავა პროგრამა, რომლის მიხედვითაც მთავრობა ეტა-ს წევრებს ჩადენილ დანაშაულს პატიობდა, იმ შემთხვევაში თუ ისინი ორგანიზაციას დატოვებდნენ, თუმცა, ამ ორგანიზაციის გარკვეული ჯგუფისთვის ეს ყველაფერი საკმარისი არ იყო და ისინი კვლავ ძალადობრივი მეთოდებით განაგრძობდნენ ბასკეთის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას. 1980-იან წლებში განსაკუთრებით გაიზარდა ეტა-ს მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტების რაოდენობა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეტა-მ მკვლელობების 90% სწორედ ფრანკოს დიქტატურის დასრულების შემდეგ ჩაიდინა. ეტა-მ იმ პერიოდში ყველაზე გახმაურებული ტერაქტი ბარსელონაში 1987 წელს მოაწყო, როდესაც ბარსელონას ერთ-ერთ სუპერმარკეტში აფეთქების შედეგად 21 ადამიანი დაიღუპა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ ეტა-მ 2001 წელს ბასკეთის საპარლამენტო არჩევნებში მიიღო მონაწილეობა, თუმცა გამარჯვება ბასკეთის ნაციონალისტურმა პარტიამ (PNV) მოიპოვა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბასკეთის მოსახლეობის უმრავლესობისთვის, წარსულისგან განსხვავებით, ტერორიზმი აღარ იყო ბრძოლის სასურველი მეთოდი. (Netzley, 2007, pp. 59-61)

ეტამ 54 წელი იარსება და 2018 წელს საბოლოოდ დაიშალა. ეტა-ს მიეწერება 800-ზე მეტი ადამიანის მკვლელობა, ეტა-ს წევრებმა ჩადენილი დანაშაულებების გამო ბოდიში მოიხადეს და მთელი პასუხისმგებლობა თავიანთ თავზე აიღეს. (Adamczyk, 2018)

როგორც ზემოთ აღვნიშნე პოლ ბრასი გამოყოფს 3 პოლიტიკურ ფაქტორს, რომლებიც მნიშვნელოვანია ნაციონალისტური ორგანიზაციებისთვის: **1)ნაციონალისტური ორგანიზაციების ხასიათი 2) მთავრობის პასუხი ეთნიკური ჯგუფის მოთხოვნებზე 3) ზოგადი პოლიტიკური კონტექსტი.** (Ahmad, 2013, p.73)

1) **ნაციონალისტური პოლიტიკური ორგანიზაციების ხასიათი:** ამ შემთხვევაში აღსანიშნავია ბასკეთის ნაციონალისტური პარტიის და ეტა-ს როლი. როგორც

კონვერსი აღნიშნავს, ბასკეთის ნაციონალისტური პარტია (PNV) ფრანკოს დიქტატურის დროს სრულიად უმოქმედო გახდა. (Conversi, 1997, pp. 82-83) შესაბამისად, ამ პარტიამ ვერ მოახერხა მასების მობილიზაცია, თუმცა, აღსანიშნავია ეტა-ს დიდი როლი, რომელმაც არსებობის პირველ წლებში შეძლო პოლიტიკური დღის-წესრიგის შედგენა და მასების მობილიზაცია.

2) მეორე ფაქტორია **მთავრობის პასუხი ეთნიკური ჯგუფის მოთხოვნებზე:** მთავრობის პასუხი ბასკების იდენტობის მიმართ იყო ძალადობრივი ხასიათის. ფრანკოს მიზანი იყო ბასკური იდენტობის ყველა სიმბოლოს განადგურება, რაც გერნიკას დაბომბვითაც დადასტურდა. იგი კარგად აანალიზებდა ბასკების კულტურის განსაკუთრებულებას და იმ ფაქტს, რომ მათ უკვე გააჩნდათ პოლიტიკური დღის-წერიგი. (Macko, 2011, p. 14)

3) **მესამე ფაქტორი ზოგადი პოლიტიკური კონტექსტი-** მილტონ ესმანის მიხედვით, დემოკრატიულ სახელმწიფოში ეთნიკურ მოძრაობები ნაკლებად გამოირჩევიან ძალადობრივი ხასიათით, ხოლო ავტორიტარულ რეჟიმებში უფრო მეტად არის მოსალოდნელი ძალადობა. (Ahmad, 2013, 78) ფრანკოს დიქტატურის დროს ესპანეთის დემოკრატიულობაზე ლაპარაკი ზედმეტია, რაც ბასკეთის სეპარატისტული მოძრაობის ძალადობრივ ხასიათს ხსნის. გარდა ამისა, ზოგად პოლიტიკურ კონტექსტში აღსანიშნავია დასავლური დემოკრატიების იზოლორებული დამოკიდებულებაც. (Conversi, 1997, pp. 82-83)

აღნიშნული ფაქტორების განხილვით, აშკარაა, რომ ფრანკოს პერიოდში, ბასკურ ნაციონალიზმში იკვეთება ეტა-ს მნიშვნელოვანი როლი, რომელმაც შეძლო მასების მობილიზაცია. ამ კონკრეტულ თავში კარგად გამოიკვეთა ის თუ როგორ ახდენდა ეტა მასებით მანიპულირებას, ხოლო მისი მთავარი მიზანი პოლიტიკური ხასიათის იყო და გულისხმობდა ძალაუფლების მოპოვებას, რაც ფრანკოს დიქტატურის დასასრულის შემდეგაც გამოჩნდა.

თუმცა, მიუხედავად ამისა, ფრანკოს მმართველობის საწყის ეტაპზე, ეტა აკეთებდა იმასაც, რაც ბასკების უმრავლესობას სურდა: ფრანკოს დიქტატურისა და ბასკების დევნის დასრულება. ამიტომ, ჩემი აზრით, ბასკეთში ფრანკოს პერიოდში

ადგილი ჰქონდა **მასების მიერ მართულ ძალადობას.** თავდაპირველად ეტა-ს შექმნა მასებისგან წამოსულმა მოთხოვნებმა განაპირობა. როგორც პატრიცია ნეთზლი აღნიშნავს, თავისი მიზნიდან გამომდინარე ეტა-ს მხარდამჭერები ჰყავდა როგორც ბასკეთში ისე მთელს ესპანეთსა და საფრანგეთში.(Netzley, 2007, pp. 59-61) გარდა ამისა, მასების მიერ მართული ძალადობის დროს მნიშვნელოვანია 1) **ერთი ჯგუფის ისტორიული დომინირება მეორეზე, ეთნიკური სტერეოტიპების არსებობა და ეთნიკური სიმბოლოების კონფლიქტი,** რაც წარმოშობს უსაფრთხოების დილემას ეთნიკური გადაშენების შიშით (Kaufman, 1996, p. 153).

ფრანკოს მიერ განხორციელებულმა სასტიკმა ტერორმა ბასკებში წარმოშვა კულტრული უსაფრთხოების დილემა. აღსანიშნავია **ეთნიკური სიმბოლოების კონფლიქტიც**- ფრანკომ აკრძალა ბასკური ენა, ბასკური სიმბოლოების გამოყენება, ბასკური ცეკვა, სიმღერა და ეთნიკური კულტურის ყველანაირი გამოვლინება, (Conversi, 1997, p.81) რამაც გაზარდა მის მიმართ მასების მტრული დამოკიდებულება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბასკეთში ფრანკოს პერიოდში მასების მიერ მართული ძალადობა ფრანკოს სიკვდილის შემდეგ ელიტების მიერ მართულ ძალადობად იქცა.

საბოლოო ჯამში, ბასკების ძალადობრივი პასუხი ფრანკოს პოლიტიკის მიმართ შეიძლება აიხსნას რამდენიმე ფაქტორით: ბასკებისთვის განსაკუთრებით მტკივნეული იყო **გერნიკას დაბომბვა,** რასაც მათთვის სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, ფრანკოს სასტიკ ძალადობაზე მათი პასუხი იყო ძალადობა, რადგან მათ კულტურული განადგურების საფრთხე დაემუქართ და სახეზე იყო **კულტურული უსაფრთხოების დილემა**, აღსანიშნავია ასევე **ბასკი ინტელიგენციის სისუსტე და ზოგადი პოლიტიკური კონტექსტი.**

თავი 5. კატალონიური ნაციონალიზმი ფრანცისკო ფრანკოს მმართველობის პერიოდში

ბასკური ნაციონალიზმის მსგავსად, კატალონიურ ნაციონალიზმშიც ახალი ეტაპი იწყება ფრანცისკო ფრანკოს მმართველობის პერიოდიდან. ფრანკომ გააუქმა კატალონიის ავტონომიური სტატუსი, აკრძალა კატალონიური ენის გამოყენება, მოეწყო კატალონიურ ენაზე დაწერილი წიგნების საჯარო დაწვის ცერემონია, განადგურდა პატრიოტული ხასიათის ძეგლები და მონუმენტები, კანონგარეშედ გამოცხადდა კატალონიური იდენტობის ისეთი სიმბოლოები, როგორიცაა: დროშა და ჰიმნი. 1939 წლის 1 დან 6 მაისამდე, მხოლოდ 6 დღეში 266 ადამიანი დასაჯეს სიკვდილით. 1939 წლისთვის დაახლოებით 500,000 ადამიანმა დატოვა ქვეყანა, მათგან 200,000 კატალონიურენოვანი რეგიონებიდან იყვნენ. (Conversi, 1997, p.112)

თუმცა 1942 წლიდან კატალონიაში მდგომარეობა იცვლება. ფრანკომ კატალონიაში ლიბერალიზაციის გარკვეულ ფორმებს მიმართ. ფრანკოს სტრატეგია კატალონიელების მიმართ ბასკებისგან განსხვავებული იყო და გულისხმობდა „დიალექტიზაციას“- პოლიტიკური ელიტების წარმომადგენლები ცდილობდნენ გაევრცელებინათ ის აზრი, რომ კატალონიური ენა იყო დიალექტი, ესპანურის ქვე-სახეობა. ამ პოლიტიკიდან გამომდინარე ფრანკო კატალონიაში უშვებდა კულტურული ნაციონალიზმის გარკვეულ ფორმებს გარკვეულ დონეზე. (Conversi, 1997, p.114)

ემიგრაციიდან დაბრუნდენ ინტელექტუალები: პოეტი კარლოს რიბა (1899-1959) და პერ კუარტი (1899-1986). ფრანკოს რეჟიმის შედარებით შემწყნარებლურ ხასითაზე კატალონიურ ენაზე გამოცემული წიგნების სტატისტიკური მონაცემებიც მოწმობს. 1946 წელს კატალონიურ ენაზე გამოიცა- 12 წიგნი, 1948 წელს- 60, 1954 წელს- 96, 1960 წლისთვის-200-ზე მეტი. კატალონიური ენა საჯარო სივრცეში პირველად გამოყენებულ იქნა 1953 წელს ბარსელონას უნივერსიტეტში გამართულ „რომანული ენების საერთაშორისო კონფერენციაზე“. მისი მკვეთრად გამოხატული ფილოლოგიური შინაარსისა და საერთაშორისო ხასიათის გამო იგი ცენზურას

გადაურჩა. 1954 წელს ისტორიკოსი ხაუმე ვივევსი თავის ნაშრომში წერს: „სანამ გარკვეულ გეგმებს დავისახავთ ჩვენ უნდა შევიცნოთ ჩვენ საკუთარი თავი, ვინ ვართ და ვინ ვიყავით.“ ამ ნაშრომმა დიდი როლი ითამაშა კატალონიური იდენტობის ხელახალ გააზრებაში. საინტერესო ფაქტი მოხდა 1959 წელს, როდესაც ცნობილი ესპანური ჟურნალის „ლა ვანგუარდიას“ რედაქტორმა ლუის დე გალისონგმა საჯარო გამოსვლისას ასეთი განცხადება გააკეთა: „ყველა კატალონიელი ნაგავია“. ამ გამოსვლის შემდეგ, ფრანკოს ბრძანებით გალისონგა დაითხოვეს, მნიშვნელოვნად შემცირდა ამ ჟურნალის გამომწერთა რაოდენობაც. ხალხმა მას ბოიკოტი გამოუცხადა. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კატალონიელებისთვის, რადგან ეს იყო ოპოზიციის გამარჯვება და იმის დასტური, რომ კატალონია ჯერ კიდევ ცოცხლობდა. მნიშვნელოვანი იყო ასევე 1967 წელს კულტურული საზოგადოების (Omnium Cultural) საქმიანობის განახლება, ეს იყო ასოციაცია, რომელიც აწესებდა სხვადასხვა ლიტერატურული ხასიათის ჯილდოებსა და სტიპენდიებს. არანაკლედ მნიშვნელოვანი იყო ასევე 1963 წლიდან „ახალი სიმღერის მოძრაობის“ (Nova Canco) დაარსება. ამ მოძრაობის წევრები პოპულარიზაციას უწევდნენ კატალონიურ სიმღერებს, ისინი კონცერტებს მართავდნენ უნივერსიტეტებში, ქალაქის ცენტრსა და გარეუბნებში. ამ მოძრაობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მოსახლეობაში ნაციონალური თვითშეგნების ამაღლებას. 1964 წელს პირველად საჯაროდ აღინიშნა „დიადა“ (კატალონიის ნაციონალური დღესასწაული) ამ დღეს 3,000 ადამიანი გამოვიდა ქალაქის ქუჩებში. დააკავეს 7 ადამიანი, ხოლო დანარჩენები დააჯარიმეს. (Conversi, 1997, p.115-123)

1967 წელს ასევე დიადის დღეს, შეიქმნა ალიანსი, რომელშიც ერთად იყვნენ- მუშათა კლასი, ორგანიზაციები, ეკლესია, ინტელიგენცია, კომუნისტები, ამით მოხდა ხიდის გავლება სხვადასხვა იდეოლოგიასა და კლასს შორის, რადგან მათ საერთო მიზანი: კატალონიური კულტურის, იდენტობისა და ინტერესების დაცვა აერთიანებდათ. აღსანიშნავია სტუდენტური მოძრაობების ეფექტურობაც. ზოგადად, ფრანკოს რეჟიმი შედარებით ლოიალური იყო კატალონიელი სტუდენტების მიმართ, რადგან ისინი ძირითადად მაღალი ფენების წარმომადგენლების შვილები იყვნენ, რომლებიც ფრანკოს მხარდაჭერით

გამოირჩეოდნენ. 1966 წელს სტუდენტების, პროფესორებისა და ინტელექტუალების მიერ ჩამოყალიბდა სინდიკატი- „ბარსელონას უნივერსიტეტის სტუდენტების დემოკრატიული ერთობა.“ (Sindicat Democratic d'Estudiant de la Universitat de Barcelona- SDEUB), 1966/67 აკადემიური წლის მანძილზე მათ მოაწყვეს კატალანიზმის მხარდამჭერი სხვადასხვა **პოლიტიკური** და კულტურული აქტივობები. რეჟიმისგან პასუხმაც არ დააყოვნა. მათ 100 სტუდენტი და პროფესორი დაითხოვეს უნივერსიტეტიდან, ხოლო უნივერსიტეტს 1 წლის განმავლობაში აეკრძალა სტუდენტების მიღება. (Conversi, 1997, pp.131-132)

1971 წელს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა კატალონიის ისტორიაში- შეიქმნა ოპოზიციური ძალების ფართო კოალიცია- კატალონიის ასამბლეა (Assemblea de Catalunya). მასში გაერთიანდნენ სოციალისტები, სოციალ-დემოკრატები, კათოლიკები, ნაციონალისტები და სხვა. მათი სამი მთავარი მოთხოვნა იყო: პოლიტპატიმრების ამინისტია, გამოხატვის თავისუფლება და 1932 წლის ავტონომიის აღდგენა. 1974 წელს პირველად რადიოგადაცემა გადმოიცა კატალონიურ ენაზე. მას შემდეგ რაც ეტას წევრებმა კარერო ბლანკო მოკლეს, კატალონიელებისთვის ნათელი გახდა, რომ რეჟიმი კრიზისში იყო და მათ დაიწყეს პოლიტიკური ქმედება, კატალონიაში კულტურულმა ნაციონალიზმმა პოლიტიკური ნაციონალიზმისკენ აიღო გეზი. (Conversi, 1997, pp. 136)

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ეკონომიკური ფაქტორიც. კატალონია ფრანკოს მმართველობის დროს ეკონომიკურად საკმაოდ გაძლიერდა. კატალონიელი ელიტები, ბურჟუაზიის წარმომადგენლები სამოქალაქო ომის შემდეგ დაბრუნდნენ კატალონიაში, დაიბრუნეს თავიანთი ბიზნესი, გახდნენ იმაზე უფრო მდიდრები ვიდრე იქამდე იყვნენ. მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისთვის მომგებიანი აღმოჩნდა, ის ფაქტი, რომ ფრანკომ ქვეყნიდან გააძევა ისინი ვინც მათი მიწებისა და ფაბრიკების კონფისკაცია და ნაციონალიზაცია მოახდინა. სხვადასხვა მონაცემების მიხედვით, არასდროს მცირე ბიზნესი და მცირე ინდუსტრია ისე არ განვითარებულა კატალონიაში, როგორც ეს იყო ფრანკიზმის პერიოდში. მართლაც, კატალონია იმ დროს წარმოადგენდა ესპანეთის ეკონომიკურ ცენტრს. იგი ძირითადად დასახლებული იყო მუშათა კლასის წარმომადგენლებისგან, ხოლო

ფრანკოს მიერ გატარებული რეფორმები სწორედ ამ კლასის გაძლიერებისაკენ იყო მიმართული. ასევე ფრანკოს მმართველობის პერიოდში შემუშავებული "სტაბილიზაციის გეგმა" კატალონიელების მიერ იქნა ჩამოყალიბებული. ერთ-ერთი მათგანი იყო ჟოან სარდა დეჟუესი. ეს გეგმა ითვალისწინებდა მუშათა კლასის ლიბერალიზაციას და მათი უფლებების დაცვას. ფრანკიზმის ნაციონალური ინდუსტრიის ინსტიტუტის ინვესტიციის 25% მხოლოდ ბარსელონაზე მოდიოდა. (Faraldo, 2017)

5. 1 ტერა ლიურე

ესპანეთსა და ტერორიზმზე საუბრისას პირველ რიგში ეტა და ბასკეთი გვახსენდება, თუმცა აღსანიშნავია, რომ ტერორისტული დაჯგუფება კატალონიაშიც არსებობდა. ასევე ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ სწორედ ტერორიზმის სფეროში იკვეთება კატალონიის და ბასკეთის ერთობლივი საქმიანობა და ურთიერთდახმარება.

როგორც უკვე აღნიშნე, ფრანკოს დიქტატურის პერიოდში კატალონიელები ნაკლებად იყენებდნენ ძალადობას, თუმცა ყველაფერი იცვლება 1975 წლიდან როდესაც ესპანეთში იწყება დემოკრატიული ტრანზიციის პერიოდი. 1978 წელს სხვადასხვა ნაციონალისტურმა ფრაქციებმა დაარსეს ტერორისტული ორგანიზაცია „ტერა ლიურე" (Terra Liurre- კატ. თავისუფალი მიწა). მათი მთავარი ლოზუნგი იყო: „დამოუკიდებლობა, სოციალიზმი და კატალონიური ქვეყნების გაერთიანება". აქ ჩნდება კითხვა: რატომ წარმოიშვა რადიკალური ნაციონალიზმი ამ დროს კატალონიაში? (მაშინ როდესაც ფრანკოს დიქტატურა დასრულდა და ქვეყანა დემოკრატიზაციის გზას დაადგა). ამის მიზეზად შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ფაქტორი. პირველ რიგში, აღსანიშნავია ის, რომ ისინი ვინც კატალონიის დამოუკიდებლობას უჭერდნენ მხარს თავი გარიყულად იგრძნეს და აღნიშნავდნენ, რომ კატალონიურმა პოლიტიკურმა პარტიებმა მათ უღალატეს, მართლაც 1977-1978 წლებში მთავარმა კატალონიურმა პარტიებმა (კატალონიის სოციალისტურმა პარტიამ, ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ და სხვა) ნაციონალისტური მისწრაფებები გვერდით გადადეს და ავტონომიას დასჯერდნენ. მეორე მიზეზი შეიძლება ყოფილიყო დემოკრატიზაციის პროცესის შედეგები, კერძოდ,

კატალონიის დამოუკიდებლობის მომხრეთა აზრით, 1978 წლის კონსტიტუცია მათ თვითგამორკვევის უფლებას ართმევდა და ავტონომიური დაყოფა არ ითვალისწინებდა კატალონოურ ქვეყნებს (კატალონიური ქვეყნები მათი აზრით, მოიცავდა კატალონიას, ვალენსიას, ბალეარის კუნძულებს და ჩრდილოეთ კატალონიას საფრანგეთში) ისინი ასევე ეწინააღდმეგებოდნენ 1979 წელს მიღებულ ავტონომიასაც, გარდა ამისა, 1979 წელს გამართულ არჩევნებში სეცესიონისტურმა კოალიციამ არასაკმარისი ხმების გამო კატალონიის პარლამენტში შესვლა ვერ შეძლო. ტერა ლიურეს წევრების აზრით, ტრანზიცია იყო ფრანკოს დიქტატურის გაგრძელება და ნაბიჯი ფრანკიზმიდან ტრანსფრანკიზმამდე. (Van Dijk, 2018, pp. 44-48)

„ეტა-ს კატალონური ვარიანტი, რომელიც თავისი ეფექტურობით არ გამოირჩეოდა“. ასე მოიხსენიებენ ტერა ლიურე-ს ესპანურ პრესაში. ტერა ლიურე იყო კატალონიის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი შეიარაღებული დაჯგუფება. ამ ორგანიზაციამ 17 წელი იარსება და მათ სახელს უკავშირდება 196 ტერორისტული აქტი (5 მკლელობა, აქედან 4 თავად ორგანიზაციის წევრი და ერთი უდანაშაულო მოქალაქე). ტერა ლიურეს წევრები რესურსების ნაკლებობის გამო, ხშირად ძარცვავდნენ ბანკებსა და დიდ ესპანურ კომპანიებს (FESCA, ENHER და სხვა). 1979 წელს ტერა ლიურეს წევრები დაუკავშირდნენ ეტა-ს წევრებს და მათ დახმარება სთხოვეს. ეტა დახმარებაზე დასთანხმდა. „ტერა ლიურეს“ წევრები მომზადებას გადიოდნენ ეტა-ს წევრებთან ერთად, საფრანგეთის ერთ-ერთ ბასკურ პროვინციაში-იპარალდეში, გარდა ამისა, ეტა მათ ფინანსურ დახმარებასაც უწევდა და იარაღითა და ასაფეთქებელი საშუალებებით ამარაგებდა. 1981 წელს ტერა ლიურეს წევრების ოფიციალური წარდგენა მოხდა ბარსელონაში, კამპ ნოუს სტადიონზე, სადაც მათ მოაწყვეს მასობრივი მანიფესტაცია სახელით: “Som un Nacio” (კატ. ჩვენ ვართ ნაცია). მათი ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი ქმედება უკავშირდება ჟურნალისტ ფედერიკო ხიმენესის გატაცებას, რომელიც უპირისპირდებოდა კატალონიის დამოუკიდებლობას და მხარს უჭერდა „მანიფესტ 2.300-ს“ (ეს იყო ინტელექტუალების მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომელიც კატალონიაში ესპანური ენის დისკრიმინაციის წინააღმდეგ გამოდიოდა)

ფედერიკო ხიმენესი ტერა ლიურეს წევრებმა გაიტაცეს, ფეხში დაჭრეს და სიკვდილით დაემუქრნენ, იმ შემთხვევაში თუ კატალონიას არ დატოვებდა. 1982 წელს ტერა ლიურეს წევრებმა მოაწყვეს 9 ტერორისტული აქტი და დაჭრეს 2 პოლიციელი. ამავე წელს კატალონიის ქუჩებში ჩნდება მათი ქსენოფობიური ხასიათის პოსტერები წარწერით: „Fora Xaragos" („შორს ჩარანგოები"- ესპანეთში იმიგრანტების მიმართ დამამცირებელი მიმართვის ფორმა). 1984 წლიდან ჩნდება მათთვის პროპაგანდის წარმოების მთავარი საშუალება: ჟურნალი „ALERTA" (ესპ. განგაში). 1984 წელს ტერა ლიურეს წევრებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო MDT- ს დაარსება (Moviment de Defensa de la Terra, ქართ: „მოძრაობა სამშობლოს დასაცავად") ეს იყო პროექტი, რომელსაც მათი ორგანიზაციისთვის პოლიტიკური ხასიათი უნდა მიეცა, მაგალითად, როგორც ეს იყო შინ ფეინი ირა-სთვის. თუმცა, კატალონიის დამოუკიდებლობის მოძრაობისთვის მთავარი პრობლემა იყო დამოუკიდებლობის მომხრე პარტიების სიმრავლე და ის რომ ისინი ერთმანეთში ვერ თანხმდებოდნენ. ტერა ლიურეს დასასრულის დასაწყისი იწყება ERC-ს შექმნით (Esquerra Republicana de Cataluna), რომელიც იმ ტერორისტებისგან შედგებოდა, რომლებსაც ტერა ლიურეს დატოვება უნდოდათ. 1991 წელს ტერა ლიურეს ერთ-ერთმა სექტორმა იარაღი დაყარა. ტერა ლიურე უკვე საკმაოდ დასუსტებული იყო, თუმცა ჯერ კიდევ რჩებოდა მისი ერთი ჯგუფი, რომელიც 1992 წლის ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებს ეწინააღდეგებოდა, რადგან მას ესპანალების ზეიმათ მიიჩნევდა. ესპანეთის პოლიციამ შესაბამისი ზომები მიიღო და ოლიამპიადის ჩატარებამდე მოაწყო სპეცოპერაცია, რომლის შედეგადაც 60 პირი დააკავეს. 1995 წელს მათ პროპაგანდისტულ ჟურნალში დაიწერა სტატია, რომ ტერა ლიურემ ადამიანური რესურსებისა და იარაღის ამოწურვის გამო არსებობა შეწყვიტა. 1996 წელს გაიმართა ამ ორგანიზაციის წევრთა ხმაურიანი სასამართლო პროცესი. 18 მათგანს გამოუტანეს 119 წლით თავისუფლების აღკვეთა. 2 მათგანი კი შეიწყალეს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დღეს მათი წევრების გარკვეული ნაწილი ისევ თავისუფალია და აქტიურად იყვნენ ჩართულები პუჩდემონის მიერ წარმოებულ სეპარატისტულ კამპანიაში და მონაწილეობას იღებდნენ 1 ოქტომბრის რეფერენდუმის დროს მომხდარ პროვოკაციულ ქმედებებში. (Lopez, 2018)

საბოლოო ჯამში, კატალონიაში ფრანკოს მიერ გატარებული შედარებით **ლიბერალური პოლიტიკისა** და **ისტორიული წინამძღვრების გამო** კატალონიური ნაციონალიზმი ფრანკოს პერიოდში მხოლოდ კულტურული ხასიათის იყო.

თავი 6. კატალონიური ნაციონალიზმი- თანამედროვე პერიოდი

თანამედროვე პერიოდის კატალონიური სეპარატისტული ნაციონალიზმი 1980 წლიდან იწყება, როდესაც რეგიონში **ჯორდი პუჟოლის** მმართველობის პერიოდში (1980-2003 წწ) კატალონიაში სეპარატიზმი განსაკუთრებით აქტუალური გახდა. 1980 წლის ჟენერალიტეტის არჩევნებში ჯორდი პუჟოლის პარტიამ „შერწყმა და ერთობამ“ (Convergencia i Unio- CiU) გაიმარჯვა. კატალონიის პოპულარიზაციისთვის მან რამდენიმე კვაზიდიპლომატიური იფისი გახსნა ევროპის რამდენიმე ქალაქში, სადაც ოფიციალურ შეხვედრებს სახელმწიფოს მეთაურის რანგში მართავდა. ცენტრალურ ხელისუფლებაზე საუბრისას იგი იყენებდა ტერმინს „ესპანური სახელმწიფო“ (Spanish State), რადგან, მისი აზრით, ესპანეთი მხოლოდ ადმინისტრაციული სტრუქტურა, პოლიტიკური ერთობა და უბრალოდ გამოგონება იყო. ეკონომიკური მდგომარეობა და ენა კატალონიური რეგიონალიზმის მთავარი დასაყრდენი გახდა. (Gies, 1994, pp. 73-76)

1992 წელს ზაფხულის ოლიმპიური თამაშები კატალონიაში ჩატარდა. ჯორდი პუჟოლი და მისი თანამოაზრეები თავდაპირველად ოლიმპიადის ჩატარებას ეწინააღდმეგებოდნენ. პუჟოლის აზრით, ოლიმპიადა კატალონიური ნაციონალიზმისთვის საფრთხეს წარმოადგენდა და ეს იყო ცენტრალური მთავრობის მცდელობა მოეხდინა კატალონიის „გაესპანურება“. ნაციონალისტებისთვის არ იყო მნიშვნელოვანი ის ინფრასტრუქტურული პროექტები და ბარსელონას განვითარება, რომელსაც მას ეს ოლიმპიადა მოუტანდა. (De sojo, 2017)

საბოლოო ჯამში, პუჟოლმა ოლიმპიადის ჩატარებას წინააღმდეგობა ვერ გაუწია. მისი თქმით, ბოიკოტირება მარტივი იყო, თუმცა პატრიოტიზმი დააყენა ყველაფერზე წინ. 20 წლის შემდეგ მიცემულ ინტერვიუში პუჟოლმა აღნიშნა, რომ როდესაც ოლიმპიური თამაშების პრეზიდენტი ბარსელონას ეწვია, მან განაცხადა

რომ პატივს სცემდა თამაშებს და არ არსებობდა არანაირი სახის ბოიკოტი. (El Mundo, 2012)

პუჟოლმა ოლიმპიადა, როგორც ინსტრუმენტი ისე გამოიყენა თავისი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად და კატალონიური სეპარატიზმის გასაღვივებლად. აღსანიშნავია რომ ოლიმპიადის ოფიციალური ენები იყო: ინგლისური, კატალონიური და ფრანგული. ასევე ჟენერალიტეტის მიერ დაფინანსებულ სარეკლამო კამპანიაში ბარსელონა ევროპის რუკაზე ცალკე ქვეყანად იყო მონიშნული და მოხსენიებული: „კატალონია: ქვეყანა ესპანეთში, თავისი კულტურით, ენითა და იდენტობით“. აღსანიშნავია ისიც, რომ თამაშების გახსნის ცერემონიალზე ესპანეთის ჰიმნზე ადრე კატალონიური ჰიმნი გაისმა. (Gies, 1994, pp. 70-71)

1993 წელს პუჟოლმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა „რეგიონალიზმი არის თანამედროვე მოძრაობა, ეს არის პროგრესის მოძრაობა.“ ასევე იმავე წელს მადრიდში გაიხსნა პირველი კატალონიური წიგნის მაღაზია და კულტურული ცენტრი „Blanquerna”. გახსნის ცერემონიალს ესწრებოდა ჯორდი პუჟოლი, მადრიდის მერი, კატალონიის კულტურული ატაშე და სხვები. საბოლოო ჯამში, უნდა აღინიშნოს რომ მიუხედავად პროვოკაციული ქმედებებისა პუჟოლის მიზანი არ იყო კატალონიის დამოუკიდებლობა, რაც იქიდანაც დასტურდება, რომ იმდროინდელ ესპანეთის პრემიერ-მინისტრთან არაფორმალური თანამშრომლობით გამოირჩეოდა და ხელს უწყობდა ცენტრალური მთავრობის სტაბილურობას. (Gies, 1994, pp. 75-76)

ბარსელონას სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, 1992 წელს ბარსელონას ოლიმპიადის დროს კატალონიის მოსახლეობის 31%- უჭერდა მხარს კატალონიის დამოუკიდებლობას, ხოლო 53% ეწინააღდმეგებოდა, (ICPS, 1994) 2003 წლის მონაცემებით, 43%- უჭერდა და 43%- ეწინააღმდეგებოდა. (ICPS, 2004)

2006 წლის აგვისტოში ესპანეთის სოციალისტურმა მთავრობამ პრემიერ მინისტრის ხოსე ლუის ზაპატეროს ხელმძღვანელობით კატალონიის

ავტონომიური სტატუსი განაახლა. მას გაუფართოვდა ფინანსური ავტონომია, მოიპოვა აეროპორტებზე, პორტებსა და იმიგრაციაზე სრული კონტროლი, გარდა ამისა, ტექსტში კატალონია როგორც ნაცია ისე იყო მოხსენიებული. აღნიშნულ ავტონომიას რეფერენდუმზე მოსახლეობის 73,9%-მა დაუჭირა მხარი, 20,8% წინააღმდეგი იყო. (Wood, 2006). მიღებული ავტონომიის რამდენიმე მუხლი ესპანეთის სოცალისტური მთავრობის მთავარმა ოპოზიციურმა ძალამ სახალხო პარტიამ საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა. ისინი უპირისპირდებოდნენ კატალონიის ნაციად გამოცხადებას და კატალონიური ენის სავალდებულო სტატუსს. (Marcos, 2006)

2010 წელს, აღნიშნული სასამართლო პროცესი დასრულდა და ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო 2006 წელს მიღებული ავტონომიის რამდენიმე მუხლი, მათ შორის კატალონიის როგორც ნაციის სტატუსი. ამას კატალონიაში მასობრივი პროტესტი და დემონსტრაცია მოჰყვა, რომელშიც, პოლიციის ინფორმაციით, დაახლოებით მილიონმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მათი მთავარი ლოზუნგი იყო „ჩვენ ვართ ნაცია და დამოუკიდებლად მივიღებთ გადაწყვეტილებებს“ (France24, 2010)

2010 წლის რეგიონულ არჩევნებში კვლავ ჯორდი პუჟოლის პარტიამ „შერწყმა და ერთობამ“ გაიმარჯვა. კატალონიის პრეზიდენტი გახდა სეპარატისტი **არტურ მასი.** სწორედ ამ პერიოდში იწყება კატალონიაში სეპარატიზმის მეორე ტალღა. მის საარჩევნო დაპირებებს შორის იყო დამოუკიდებლობაზე რეფერენდუმის ჩატარება და დამოუკიდებლობისთანავე ევროკავშირის წევრობა. საარჩევნო კამპანიის დროსაც კატალონიის დროშასთან ერთად ყოველთვის ფრიალებდა ევროკავშირის დროშაც. (Burrige, 2012)

მისი პრეზიდენტობის 5 წლიანი პერიოდიდან მნიშვნელოვანია გამოიყოს რამდენიმე მოვლენა: 2012 წლის 11 სექტემბერს კატალონიის ეროვნულ დღესასწაულზე ბარსელონაში გაიმართა მასობრივი მანიფესტაცია, რომლის ლოზუნგი იყო „კატალონია- ევროპის ახალი სახელმწიფო.” ურბანული პოლიციის ინფორმაციით დემონსტრანტთა რაოდენობამ 1,5 მილიონი ადამიანი შეადგინა.

აქციის ორგანიზატორი იყო „კატალონიის ეროვნული ასამბლეა“ (Piñol, 2012). 2013 წელს ასევე ANC-ის ორგანიზებით, გაიმართა კიდევ ერთი დემონსტრაცია, რომელსაც კატალონიური გზა ეწოდა. საფრანგეთის საზღვრიდან დაწყებული მთელი კატალონიის გასწვრივ ვალენსიის რეგიონამდე აქციის მონაწილეებმა ჯაჭვი შეკრეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით ღონისძიებაში ნახევარი მილიონი ადამიანი ღებულობდა მონაწილეობას. (Pi, 2013) 2014 წლის 9 ნოემბერს არტურ მასის მთავრობამ კატალონიაში რეფერენდუმი ჩაატარა დამოუკიდებლობის შესახებ, რომელშიც მონაწილეობა 2,305,290 ადამიანმა მიიღო, აქედან 80,76%-მა კტალონიის დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი. მოსახლეობის აქტივობა შეადგენდა 37,02%-ს. ამ რეფერენდუმის არაფორმალური ხასიათი ჰქონდა. რის შესახებ თავად არტურ მასმაც განაცხადა: „ჩვენ მოვიპოვეთ რეფერენდუმის უფლება, კატალონიამ აჩვენა რომ სურს დამოუკიდებლად მართოს თავისი თავი“. (Perez, 2014)

2014 წლის მონაცემებით, დამოუკიდებლობის მომხრე და მოწინააღმდეგეთა პროცენტული წილი შემდეგნაირად გადანაწილდა- 45,3 %- 44,5%, ეს ტენდენცია 2016 წლის ივნისამდე გაგრძელდა. (Centre d'Estudis d'Opinio , 2018)

2016 წლიდან კატალონიის პრეზიდენტი ხდება ქალაქ ჟირონას ყოფილი მერი, კატალონიის ევროპული დემოკრატიული პარტიის (PDECat) ლიდერი **კარლეს პუჩდემონი**. მან მიზნად დაისახა 18 თვეში კატალონიის სახელმწიფოს ჩამოყალიბება. (Fernandez, 2016). 2017 წლის 6 სექტემბერს ავტონომიურმა პარლამენტმა დაამტკიცა კანონი რეფერენდუმის შესახებ. ხოლო, 1 ოქტომბერს დაინიშნა არალეგალური რეფერენდუმი, რომელშიც მონაწილეობა მოსახლეობის 42%-მა მიიღო, აქედან 90%-მა მხარი დაუჭირა კატალონიის დამოუკიდებლობას. (Baquero, 2017) . 2017 წლის ივლისის მონაცემების მიხედვით მოსახლეობის 49,4 % დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყო ხოლო 41%- მომხრე. (Centre d'Estudis d'Opinio, 2017), ეს მაჩვენებლები იმაზე მიუთითებს, რომ პუჩდემონის მიერ ჩატარებული რეფერენდუმი ვერ ჩაითვლება ვალიდურად, რადგან შეუძლებელია 4 თვეში სეპარატიზმის მხარდამჭერთა პროცენტული წილი ამ დონეზე გაზრდილიყო.

2010 წლის 10 ოქტომბერს პუჩდემონმა კატალონიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რომელიც მხოლოდ 56 წამს გაგრძელდა, მისი მოქმედება პუჩდემონმა თავადვე შეაჩერა და ცენტრალურ მთავრობასთან დიალოგი მოითხოვა.(Rubio & Peinado, 2017). 2017 წლის 27 ოქტომბერს ესპანეთის ცენტრალურმა მთავრობამ აამოქმედა ესპანეთის კონსტიტუციის 155 მუხლი, დაითხოვა მთავრობა და გამოაცხადა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები 2017 წლის 21 დეკემბერს. (Ortega, 2018)

არჩევნებში ესპანეთის ერთიანობის მომხრე პარტია მოქალაქეებმა (Ciudadanos) გაიმარჯვეს. აქტივობა უპრეცენდტოდ მაღალი იყო და 80% შეადგინა, თუმცა სეპარატისტულმა პარტიებმა (კატალონიის მემარცხენე რესპუბლიკური პარტია (ERC), „ერთად კატალონიისთვის“ (JuntsxCat) და „სახალხო ერთობის კანდიდატურა“ (CUP)) კვლავ მოახერხეს საპარლამენტო უმრავლესობის მოპოვება. (Henley, 2017)

2018 წელს კატალონიის პრეზიდენტი გახდა სეპარატისტი **კიმ ტორა,** რომელსაც პუჩდემონის მარიონეტად მოიხსენიებენ. კატალონიის პარლამენტში პირველი გამოსვილისას მან განაცხადა, რომ რეგიონის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას გააგრძელებს და რომ კარლეს პუჩდემონი კვლავ კატალონიის პრეზიდენტია (BBC news, 2018) კიმ ტორა ანტიესპანური და ქსენოფობიური განცხადებებით გამოირჩევა. (Jones, 2018)

კატალონიაში საუბრისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს ეკონომიკური ფაქტორიც. როგორც დასაწყისში აღვნიშნე კატალონია ესპანეთის ერთ-ერთი მაღალგანვითარებული რეგიონია (იხ. გვ-22), თუმცა კატალონიელებისთვის მოუღებელია ის ფაქტი, რომ მათ, ბასკების მსგავსად, არ აქვთ ფისკალური ავტონომია. აღსანიშნავია, რომ 2012 წელს კატალონიის იმდროინდელმა პრეზიდენტმა არტურ მასმა ესპანეთის ცენტრალურ მთავრობას წარუდგინა გეგმა კატალონიის ფისკალური ავტონომიის შესახებ, რომელიც მადრიდმა დაბლოკა, იმ მიზეზით, რომ ესპანეთი იმ პერიოდში ეკონომიკურ კრიზისში იმყოფებოდა. (Boffey,2017) აღსანიშანვია ისიც, რომ მადრიდის კიდევ ერთი არგუმენტი ამ

საკითხთან დაკავშირებით არის ის რომ ესპანეთის მთლიან შიდა პროდუქტში კატალონიის წილი 19%-ია, ხოლო ბასკეთის 6%. (Thelocal, 2018)

კატალონიასა და დანარჩენ ესპანეთს შორის ყოველთვის არსებობდა კულტურული სხვაობები, როგორც პუჟოლის, მარგალის, მასის თუ პუჩდემონის პერიოდში. მხოლოდ 2017 წელს მიიღო კატალონიურმა სეპარატიზმა რადიკალური ხასიათი, როდესაც პოლიტიკური ელიტის პუჩდემონმა კატალონიის ენა, კულტურა და ეკონომიკა აქცია პოლიტიკურ ინსტუმენტად მასების მობილიზაციის პროცესში, ხოლო მისი მთავარი მიზანი იყო ძალაუფლების, სიმდიდრის და პრესტიჟის გაზრდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე პოლ ბრასი გამოყოფს 3 პოლიტიკურ ფაქტორს, რომლებიც მნიშვნელოვანია ნაციონალისტური ორგანიზაციებისთვის: **1)ნაციონალისტური ორგანიზაციების ხასიათი 2) მთავრობის პასუხი ეთნიკური ჯგუფის მოთხოვნებზე 3) ზოგადი პოლიტიკური კონტექსტი.** (Ahmad, 2013, p.73)

1) **ნაციონალისტური პოლიტიკური ორგანიზაციების ხასიათი:** ამ შემთხვევაში აღსანიშნავია კატალონიური სეპარატისტული პარტიების: „შერწყმა და ერთობა“, კატალონიის „ევროპული დემოკრატიული პარტიის“ (PDCat) და “ესკერა რეპუბლიკანას წარმატება”, მათ მიერ განხორციელებულმა ნაბიჯებმა შედეგი გამიოღო და მათ მოახერხეს მასების მობილიზაცია.

2) მეორე ფაქტორია **მთავრობის პასუხი ეთნიკური ჯგუფის მოთხოვნებზე:** აღსანიშნავია, რომ, ფრანკოს პერიოდისგან განსხავებით, მთავრობის პასუხი კატალონიაში არასდროს იყო ძალადობრივი ხასიათის. თუმცა, ჩემი აზრით, დიდი შეცდომა იყო 2010 წელს ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აღნიშნული ავტონომიის ჩამოქვეითება. რაც შეეხება 2017 წელს მიმდინარე პროცესებს და „რეფერენდუმის“ დროს მომხდარ ფიზიკურ დაპირისპირებებს, აშკარაა რომ სეპარატისტების მიერ არსებობდა პროვოკაცია და მთავრობა მხოლოდ კანონის ფარგლებში მოქმედებდა, რაც მართალია არ ამართლებს ასეულობით ადამიანის დაშავების ფაქტს.

3)**მესამე ფაქტორი ზოგადი პოლიტიკური კონტექსტი,** მილტონ ესმანის მიხედვით, დემოკრატიულ სახელმწიფოში ეთნიკურ მოძრაობები ნაკლებად გამოირჩევიან ძალადობრივი ხასიათით, ხოლო ავტორიტარულ რეჟიმებში უფრო მეტად არის მოსალოდნელი ძალადობა. (Ahmad, 2013, 78) რაც კატალონიის შემთხვევაში დასტურდება, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში კატალონიაში ადგილი ჰქონდა გარკვეულ დაპირისისპირებებს, 1980 წლიდან მოყოლებული კატალონიური სეპარატისტული მოძრაობა არასდროს არ მიმართავდა ბრძოლის რადიკლურ მეთოდებს ზოგად პოლიტიკურ კონტექსტში ასევე მნიშვნელოვანია ევროკავშირის დამოკიდებულება და კერძოდ, „პროდის დოქტრინა", რომლის მიხედვით, კატალონიის გამოყოფის შემთხვევაში მას თავიდან მოუწევს ევროკავშირის წევრობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კატალონია დამოუკდებლობას ესპანეთის საკონსტიტუციო სამართლის პრინციპების შესაბამისად მოიპოვებს. (Mcdonald & Emmott, 2017)

საბოლოო ჯამში, კატალონიაში თანამედროვე პერიოდში ადგილი ჰქონდა **ელიტების მიერ მართული ძალადობას** - კაუფმანის მიხედვით, ლიდერები იყენებენ ძალაუფლებას და მათ გავლენას მედიის საშუალებით, რათა ხელი შეუწყონ მასების მტრული დამოკიდებულების ზრდას და უსაფრთხოების დილემის პროვოცირებას, რაც საბოლოოდ კონფლიქტამდე მიდის (Kaufmnan, 1996). რასაც ადგილი ჰქონდა კატალონიაში, ლიდერები აქტიურად იყენებდნენ კატალონიურ ტელევიზია TV-3, რომლის საშუალებით ავრცელებდნენ დეზინფორმაციას და დამოუკიდებლობის მხარდამჭერ ლოზუნგებს (Dominguez, 2017) გარდა ამისა, აღსანიშნავია არტურ მასის საარჩევნო კამპანია, რომელშიც იგი მოსახლეობას კატალონიის დამოუკიდებლობისთანავე ევროკავშირში გაწევრიანებას ჰპირდებოდა (Burrige, 2012), რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შეუძლებელია ასევე, პუჩდემონის დაპირება, რომ იგი 18 თვეში კატალონიის სახელმწიფოს შექმნიდა (Fernandez, 2016), რაც რეალობისგან შორის იყო.

თავი 7. ბასკური ნაციონალიზმი- თანამედროვე პერიოდი

თანამედროვე ბასკეთის ისტორიაში მნიშვნელოვანია ვისაუბროთ სამ პრეზიდენტზე, რომელთა პოლიტიკა ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდა. **1999-2009 წლებში** ბასკეთის მთავრობის მეთაური იყო **ხუან ხოსე იბარეთჩე**, რომელიც ბასკეთის ნაციონალისტური პარტიის წევრი იყო და ავანტურისტული პოლიტიკით გამოირჩეოდა, ცნობილია **„იბარეთჩეს გეგმა“**, რომელიც გულისხმობდა ბასკეთში პუერტო რიკოს მოდელის გადმოტანას. მისი აზრით, ბასკებს უნდა ჰქონოდათ საკუთარი საგარეო პოლიტიკა, ჰყოლოდათ პირდაპირი წარმომადგენლობა ევროკავშირში, გარდა ამისა, მისი მიზანი იყო ბასკებისთვის ორმაგი მოქალაქეობის (ბასკური და ესპანური) მინიჭება და ბასკეთის პარლამენტისთვის რეფერენდუმის დამოუკიდებლად გამოცხადების უფლების მოპოვება. მათ თავისი გეგმა კონგრესს ორჯერ წარუდგინა, თუმცა იგი არც ერთხელ არ დაამტკიცეს, ასევე წარუმატებლად დასრულდა 2005 წელს მისი მცდელობა ჩაეტარებინა ბასკეთში რეფერენდუმი, რომელიც ესპანეთის მთავრობამ არალეგალურად გამოაცხადა. ესპანეთის იმდროინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ანხელ ასებესმა იბარეთჩე ესპანეთის კონსტიტუციის გადაწერის მცდელობაში დაადანაშაულა. იბარეთჩეს თქმით, მისი მთავარი მიზანი არა სეპარატიზმი, არამედ ბასკეთის ფართო ავტონომია იყო. (BBC news, 2003)

იბარეთჩეს პოლიტიკის გავლენას მასებზე კარგად ასახავს სტატისტიკური მონაცემები, კერძოდ, თუკი მის პრეზიდენტობამდე დამოუკიდებლობის მომხრეთა პროცენტული წილი 30-35%- მდე მერყეობდა 2005 წლისთვის მან 40%-ს მიაღწია. (Alkorta & Lenisio, 2018)

2009 წელს ბასკეთის პრეზიდენტი ხდება ესპანეთის სოციალისტური პარტიის წევრი **პაჩი ლოპესი.** პირველად, 30 წლის შემდეგ ბასკეთის პრეზიდენტი არ წარმოადგენს ბასკეთის ნაციონალისტურ პარტიას. *„ვითხოვ ნდობას, რომ ავაშენოთ უფრო ძლიერი ქვეყანა, რომელიც **სეპარატისტული დისკურსებისგან თავისუფალი** და უფრო ტოლერანტული იქნება“,* განაცხადა ლოპესმა, გარდა ამისა,

ინაუგურაციისას მან სიტყვა წარმოთქვა როგორ ეუსკერაზე ისე ესპანურად, რასაც მისი წინამორბედი არ აკეთებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მისი პრეზიდენტობისას ბასკეთისა და მთლიანად ესპანეთისთვის ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი გამოწვევად რჩებოდა ეტა. *„მე ვიქნები პრეზიდენტი, რომელიც ყოველდღიურად დაუპირისპირდება ეტას“.* ლოპესის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ლინგვისტური თავისუფლება, მისი აზრით, ოჯახებს თავად უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება თავიანთი შვილები სკოლებში ეუსკერაზე ისწავლიდნენ თუ ესპანურად. (Robledo, 2009)

ლოპესის პრეზიდენტობა 2012 წლამდე გაგრძელდა, ხოლო მისი მოღვაწეობის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ 2011 წელს ეტამ ძალადობრივი საქმიანობა შეწყვიტა. (El Pais, 2011) რაც შეეხება სტატისტიკურ მონაცემებს, 2009-2011 წლებში ბასკეთში დამოუკიდებლობის მომხრეთა პროცენტული წილი კვლავ დაეცა და 32-34%-ის ფარგლებში მერყეობდა. (Alkorta & leonisio, 2018)

ლოპესის შემდეგ, 2012 წლიდან დღემდე ბასკეთის პრეზიდენტია **ინიგო ურკულო**, რომელიც ბასკეთის ნაციონალისტურ პარტიას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ მის მიერ გატარებული პოლიტიკა წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. იგი ცენტრალურ მთავრობასთან კარგი ურთიერთობებით გამოირჩევა. (მიაღწია პროგრესს ბასკეთის რეგიონის ფინანსური პაკეტისა და თვითმართველობის დონესთან დაკავშირებით), გარდა ამისა, იგი ესპანეთის წინა მთავრობაში, ქვეყნის პრეზიდენტის მარიანო რახოის სახალხო პარტიის მნიშვნელოვანი მოკავშირე იყო და ბასკეთის მხარდაჭერის გარეშე ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა იყო შეუძლებელი, როგორიცაა ესპანეთის ბიუჯეტი. კატალონიის 1 ოქტომბრის კრიზისის შემდეგ მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო ბასკი ლიდერებისადმი, ყველა მოუთმენლად ელოდა თუ რა იქნებოდა მათი პასუხი აღნიშნულ კრიზისზე. ინიგო ურკულომ კატალონიის მისწრაფებებს მხარდაჭერა გამოუცხადა, თუმცა, მისი თქმით, 1 ოქტომბრის რეფერნდუმი ვერ ჩაითვლება კანონიერად. ამასთან ერთად, ბასკმა ლიდერმა ესპანეთის პრეზიდენტი მწვავედ გააკრიტიკა, იმის გამო, რომ თავის პოლიტიკას

სასამართლოს გზით აწარმოებდა (მადრიდის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ პატიმრობაში დაეტოვებინა კატალონიის მთავრობის 8 წევრი) მისი თქმით, ეს იყო ყველაზე ცუდი გადაწყვეტილება, რაც პოლიტიკური ინტელექტის ნაკლებობაზე მიუთითებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ინიგო ურკულო როგორც მედიატორი ჩართული იყო კარლეს პუჩდემონთან 11 საათიან მოლაპარაკებებში, რათა იგი დაერწმუნებინა, რომ კატალონიის დამოუკიდებლობა არ გამოეცხადებინა და რეგიონული არჩევნები დაენიშნა, თუმცა ეს მოლაპარაკებები წარუმატებლად დასრულდა. (Badcock, 2017)

გამომცემლობა „გარდიანთან“ მიცემულ ინტერვიუში ურკულომ ვრცლად ისაუბრა კატალონიის კრიზისზე, მისი აზრით, კატალონიაში მიმდინარე მოვლენები იყო ხალხის იძულებითი ინტეგრაციის პრობლემა, რომელსაც ისტორიულად აქვთ თვითგამორკვევის უფლება. ბასკი ლიდერის თქმით, ეს არის პოლიტიკური კონფლიქტი, რომელიც უნდა გადაიჭრას დიალოგით და მოლაპარაკებებით. აქვე ხაზს უსვამს დიალოგის ორ მთავარ პრინციპს: ერთი, პასუხისმგებლობის აღება იმაზე, რომ თავიდან იქნება არიდებული პოლიტიკური და სოციალური დაპირისპირებები ტერიტორიებს შორის და მეორე პრინციპი გულისხმობს იმის აღიარებას, რომ პატივი უნდა ვცეთ კატალონიის ნაციონალური პროექტების განხსხვავებულ ვარიანტებს. გარდა ამისა, ინტერვიუში მან ხაზი გაუსვა კვებეკისა და შოტლანდიის მაგალითებს, სადაც სეპარატიზმის საკითხი დემოკრატიული კონსტრუქციული და ცივილიზებული ფორმით გადაიჭრა. (The Guardian, 2017)

აღსანიშნავია რომ კატალონიაში მიმდინარე მოვლენებმა ბასკურ ნაციონალიზმი არათუ წაახალისა არამედ, პირიქით, დამოუკიდებლობის მხარდამჭერთა რაოდენობა შეამცირა. კატალონიაში მიმდინარე პროცესების შემდეგ ბასკეთში ჩატარებული გამოკითხვების შედეგები ასეთია: მოსახლეობის მხოლოდ 23% უჭერს მხარს ბასკეთის დამოუკიდებლობას. (Vega, 2019)

თანამედროვე ბასკეთზე საუბრისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს ეკონომიკური ფაქტორი. როგორც დასაწყისში აღვნიშნე, ბასკეთი ესპანეთის ერთ-ერთი

მაღალგანვითარებული რეგიონია. (იხ. გვ. 21) აღსანიშნავია ისიც, რომ ბასკეთს აქვს ფისკალური ავტონომია, მას აქვს საკუთარი საგადასახადო სისტემა, დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს გადასახადების განაწილებასთან დაკავშირებით, ხოლო ყოველ 5 წელიწადში ერთხელ ცენტრალურ მთავრობას უთანხმდება „კუპო“-ზე, ანუ იმ თანხის რაოდენობაზე, რომელიც მადრიდს უნდა გადაუხადონ (საგარეო პოლიტიკის და თავდაცვისთვის.) (Boffey, 2017)

რაც შეეხება კატალონიაში მიმდინარე პროცესების გამოხმაურებას ბასკეთის მოსახლეობასა და ინტელექტუალურ წრეებში, მნიშვნელოვანია განვიხილოთ რამდნიმე ადამიანის მოსაზრება:

ბორხა ლაშერესი (მადრიდის ერთ-ერთი თინკ-ტანკის ხელმძღვანელი): *„ბასკებს არ მოსწონთ არსებული ქაოსი კატალონიაში, ჩვენ თავი დავაღწიეთ იმ ბნელ პერიოდს, რომელმაც ბასკი საზოგადოება დაანაწევრა, გაკვეთილი ნასწავლია.“*(Badcock, 2017)

ბასკი ჟურნალისტის **ლუის აიზპეოლეას** თქმით *„ბასკურ საზოგადოებას საკმარისად ჰქონდა თავგადასავლები.“* (Badcock, 2017)

ლუის ირიონდო, 95 წლის გერნიკას ერთ-ერთი გადარჩენილი აღნიშნავს: *„მთელი ჩემი ცხოვრება ჩემს გონებაში არსებობდა მხოლოდ ომი, ამიტომ ის რისკენაც ვისწრაფვი არის მშვიდობა და ერთიანობა.“* (Kingsley, 2017)

ბასკი მწერლის **კირმენ ურიბეს** თქმით *„40 წლიანი სეპარატისტული ძალადობის შემდეგ ბასკები დამოუკიდებლობის საკითხისგან დაიღალნენ.“* კატალონიისა და ბასკეთის ურთიერთდამოკიდებულებაზე იგი აღნიშნავს: *„ჩვენ თითქოს განსხვავებულ პლანეტებზე ვცხოვრობთ, ჩვენ გვაქვს განსხვავებული ორბიტები, კატალონიელების ორბიტა არის უფრო მოკლე, ბასკეთის ორბიტა არის უფრო გრძელი, ჩვენ გვჭირდება უფრო მეტი დრო, რადგან არ გვსურს ბასკების კიდევ ერთხელ დაყოფა, ეს არის მხოლოდ დროის საკითხი, ჩვენ არ გვსურს დამოუკიდებლობა ახლა, ჩვენ ვფიქრობთ ჩვენ შორის არსებული ჭრილობების მოშუშებაზე.“* (Kingsley, 2017)

ბასკეთის ნაციონალისტური პარტიის პრეზიდენტი **ანტონიო ორთუზარი** აღნიშნავს: *„ჩვენ განსხვავებული გზა გვაქვს და კატალონიაში არსებული სიტუაციის გამო მას ვერ შევცვლით. კატალონიაში არსებული მდგომარეობა ძალიან მძიმეა, თუმცა მან მოიტანა ერთი კარგი შედეგი: მადრიდმა დაინახა, რომ არსებობს კარის დახურვის რისკი.“* (Kingsley, 2017)

ბასკეთის უნივერსიტეტის პროფესორი **ანდერ გუტიერესს სოლანას** ბასკურ საზოგადოებაში სეპარატისტული განწყობების მოსალოდნელ ზრდასთან დაკავშირებით აღნიშნავს *„არ არსებობს არანაირი მონაცემი, რომელიც ამას დაადასტურებს, არც არჩევნების შედეგები, არც გამოკითხვები ამაზე არ მეტყველებს. არ არსებობს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი დიდი მოძრაობა, მათი რაოდენობა არ იზრდება და სულ ერთი და იგივე ნიშნულზეა.“*(Kingsley, 2017)

მნიშვნელოვანია აღინიშოს ბასკი ხალხის სოლიდარობის ჟესტი, კერძოდ, კატალონიის რეფერენდუმის შემდეგ, ბილბაოში ჩატარდა დემონსტრაცია, რომელსაც 35,000 ადამიანი ესწრებოდა, მათი მთავარი მიზანი იყო კატალონიელი ხალხისთვის მხარდაჭრის გამოცხადება. ეს დემონსტრაცია მოეწყო სამოქალაქო მოძრაობა „Gure Esku Dago”-ს (ქართულად. „ჩვენს ხელშია“) მიერ. ეს მოძრაობა ბასკეთში 2013 წლიდან არსებობს და იგი დაფუძნებულია სამ მთავარ პრინციპზე: 1. ჩვენ ვართ ერი 2. ჩვენ გვაქვს თვითგამორკვევის უფლება 3. მოქალაქეების დროა. (Gureesku, 2013)

კატალონიაში ჩატარებული უკანონო რეფერენდუმის შემდეგ, 2017 წლის ნოემბერში ამ მოძრაობის ორგანიზებით ბასკეთშიც ჩატარდა გამოკითხვა, რომელსაც ისინი საკონსულტაციო გამოკითხვას უწოდებენ. აღნიშნული გამოკითხვის კითხვა ასე იყო ფორმულირებული: „გსურთ თუ არა რომ ბასკეთმა თავისი მომავალი დამოუკიდებლად და თავისუფალი არჩევანის გზით გადაწყვიტოს?“ ამ კონსულტაციის ერთ-ერთი ორგანიზატორის თქმით „ეს არის კატალონიასადმი ჩვენი სოლიდარობის ფორმა.“ რა თქმა უნდა, აღნიშნულ გამოკითხვას არ ჰქონდა არანაირი ლეგიტუმურობა, თუმცა, ორგანიზატორების თქმით, მას ჰქონდა დიდი სიმბოლური მნიშვნელობა. კონსულტაციის შედეგები

ფარულია, თუმცა აქტიურობა საკმაოდ დაბალი იყო: მოსახლეობის მხოლოდ 26%-მა მიიღო მონაწილეობა. გარდა ამისა, გურე ესკუ დაგოს წევრები აქტიურად იყვნენ ჩართულები კატალონიაში ჩატარებული რეფერენდუმის ორგანიზებაში. ასევე, ისინი უკვე ოთხი წელია აქტიურად სტუმრობენ ბასკურ სოფლებს და ხალხს დამოუკიდებლობის საკითხის შესახებ გააქტიურებისკენ მოუწოდებენ. ამ მოძრაობის ერთ-ერთი წევრი ამბობს: „ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ხუთ წელიწადში ბასკეთში მდგომარეობა ძალიან განსხვავებული იქნება. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ეს მოძრაობა არ გამოირჩევა ისეთი რადიკალური მოქმედებებით, როგორც კატალონიის ნაციონალური ასამბლეა (Asamblea Nacional Catalana- ANC) და ძირითადად, მშვიდობიანი დემონსტრაციებით შემოიფარგლება. (Gozzer, 2017)

საბოლოო ჯამში, აშკარაა რომ ამ ეტაპზე ბასკური სეპარატიზმი ძალიან დაბალ ნიშნულზეა, რაც რამდენიმე მიზეზით შეიძლება იყოს განპირობებული: **ისტოროიული მეხსიერება:** ბასკებისთვის სეპარატიზმისთვის ბრძოლა ძალადობასთან, სისხლისღვრასთან და ეტა-სთან ასოცირდება. ასევე კატალონიაში კატალონიურისგან განსხვავებით, ბასკეთში **ეუსკერას ცოდნის დაბალი დონეა**, 2016 წლის მონაცემებით ბასკეთის მოსახლეობის მხოლოდ 28% იცის ბასკური. (Hella basque, 2018) რაც ელიტებისთვის ენის ინსტრუმენტად ქცევის საშუალებას ართულებს. აღსანიშნავია ბასკეთში **პოლიტიკური ელიტების,** კერძოდ მმართველი ძალის ბასკეთის ნაციონალისტური პარტიის **დღის წესრიგიც,** რომელიც არ გამოირჩევა სეპარატისტული მოთხოვნებით და ცენტრალურ მთავრობასთან მოლაპარაკების შედეგად პარტია წარმატებით ახერხებს დამატებითი ეკონომიკური რესურსების მოზიდვას საკუთარ რეგიონში. ბასკეთში პოლიტიკური ელიტები კმაყოფილები არიან სტატუს-ქვოთი, მათ არ სჭირდებათ ძალაუფლების და პრესტიჟის გაზრდა და კულტურული მარკერებით მანიპულირება. მადრიდთან არსებული ფინანსური პოლიტიკა და არსებული ავტონომიის დონე ბასკების დამაკმაყოფილებელია. საბოლოო ჯამში, კატალონიური ნაციონალიზმის გამოღვიძებამ თანამედროვე პერიოდში არ გამოიწვია იგივე პროცესები ბასკეთში **განსხვავებულმა ისტორიული მეხსიერების, ელიტების განსხვავებული პოლიტიკის**

და დღის წესრიგის, ასევე განსხვავებულმა ეკონომიკური და კულტურული ფაქტორების გამო.

თავი 8. შედარებითი ანალიზი

ისტორიული წინამძღვრები

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ბასკური და კატალონიური ნაციონალიზმი მე-19 საუკუნეში ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდა. ბასკური ნაციონალიზმის ფუძემდებელი საბინო არანა მოითხოვდა ბასკეთის სრულ დამოუკიდებლობას. ხოლო, კატალონიური ნაციონალიზმის ფუძემდებელი ვალენტი ალმირალი ძირითადად კულტურულ ასპექტებზე აკეთებდა აქცენტს, იგი არ მოითხოვდა კატალონიის სრულ დამოუკიდებლობას, არამედ მისი მთავარი მიზანი იყო კატალონიის ავტონომიის სტატუსის მიღება. თუმცა, მიუხედავად ამ განსხვავებებისა, მათ შორის იყო ერთი მნიშვნელოვანი მსგავსება: ორივე ლიდერმა საბინო არანამაც და ვალენტი ალმირალმაც საფუძველი ჩაუყარეს ნაციონალურ მოძრაობებს, რომელმაც შემგომში, ფრანკოს დიქტატურის დროს მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ბასკური და კატალონიური ნაციონალიზმის ხასიათზე.

ფრანცისკო ფრანკოს პერიოდი

ფრანცისკო ფრანკოს დიქტატურის პერიოდში ბასკური და კატალონიური ნაციონალიზმების დახასიათებისას გამოჩნდა, რომ ფრანკოსთან საბრძოლველად ბასკებმა ძალადობრივ მეთოდს მიმართეს, ხოლო კატალონიელებმა სეპარატისტული განწყობები დროებით დაივიწყეს. ამასთან ერთად, განსხვავებული იყო ფრანკოს მიერ განხორციელებული პოლიტიკა ბასკების და კატალონიელების მიმართ. როგორც კვლევის შედეგად გამოიკვეთა, ფრანკოს მიზანი იყო ბასკური იდენტობის სრული გადანადგურება, ხოლო კატალონიელების შემთხვევაში იგი კულტურული ნაციონალიზმის გარკვეულ ფორმებს უშვებდა. ფრანკოს მმართველობის პერიოდში ბასკები და კატალონიელები მნიშვნელოვანი მსგავსებით გამოირჩეოდნენ, იმ მხრივ რომ ორივე რეგიონმა დიდ წარმატებებს მიაღწია ეკონომიკურ სფეროში, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ კატალონიაში ბასკეთისგან განსხვავებით ძლიერი

ნაციონალისტური მოძრაობა არ არსებობდა, ნაციონალისტური ელიტების მიერ ვერ მოხდა ეკონომიკური ფაქტორის პოლიტიკურ ინსტრუმენტად გადაქცევა.

ერთობლივი ქმედება

ინდუსტრალიზაციის დროს, ბასკეთიც და კატალონიაც ეკონომიკურად საკმაოდ გაძლიერდა. აქედან დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ ის, მართალია, ბასკეთში და კატალონიაში გაიზარდა მიგრანტების და შესაბამისად, მოსახლეობის რაოდენობა ესპანეთის სხვადასხვა რეგიონიდან, მაგრამ, ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბასკებს და კატალონიელებს არ ჰქონდათ თავიანთი რეგიონს დატოვების საჭიროება და მათ შორის მოსახლეობის კონტაქტი და გაცვლა არ მომხდარა, რაც ფრანკოს მმართველობის პერიოდში მათ შორის კონტაქტის არარსებობის მიზეზიც შეიძლება იყოს.

ბასკების და კატალონიელების ერთობლივი ქმედება ერთადერთ შემთხვევაში გამოვლინდა და იგი ტერორიზმს უკავშირდება. ფრანკოს დიქტატურასთან საბრძოლველად ბასკებმა დაარსეს ტერორისტული ორგანიზაცია ეტა, ხოლო კატალონიელებმა ფრანკოს დიქტატურის დასრულების და ესპანეთის ტრანზიციის ეპოქაში დაარსეს ტერორისტული ორგანიზაცია „ტერა ლიურე“, თუმცა, ეტა-სგან განსხვავებით, ტერა ლიურეს წევრები არ გამოირჩეოდნენ მასობრივი ძალადობრივი აქტებით და არც მოსახლეობის დიდი მხარდაჭერით სარგებლობდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ თუ ბასკეთში ეტა-ს დაარსება მასებში არსებულმა უკმაყოფილებამ გამოიწვია და ადგილი ჰქონდა მასების მიერ მართულ ძალადობას, კატალონიის შემთხვევაში ტერა ლიურეს დაარსების მიზეზი პოლიტიკური ელიტის უკმაყოფილება გახდა, რომელმაც თავი გარიყულად იგრძნო და ძალაუფლების და პრესტიჟის გაზრდა ვერ მოახერხა.

თანამედროვე პერიოდი

ბასკური და კატალონიური ნაციონალიზმი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება თანამედროვე მდგომარეობითაც. დღევანდელი ბასკური

ნაციონალიზმი არ არის რადიკალური ხასიათის და არ მოითხოვს ესპანეთისგან გამოყოფას, ხოლო თანამედროვე კატალონიური ნაციონალიზმი სეპარატისტული ხასიათისაა. მნიშვნელოვანი სხვაობაა ელიტების მიერ გატარებულ პოლიტიკას შორის. ბასკეთის ახლანდელი პრეზიდენტი არ გამოირჩევა რადიკალური განცხადებებით და მისი მთავარი მიზანი მადრიდთან არსებული პოლიტიკის შენარჩუნებაა, ხოლო კატალონიელი ელიტები ხასიათდებიან მადრიდთან აშკარა კონფრონტაციით. ისინი ხაზს უსვამენ ეკონომიკურ ფაქტორს და მოითხოვენ ბასკეთის მსგავს ფისკალურ ავტონომიას.

ბასკურ და კატალონიურ ნაციონალიზმზე საუბარი შეუძლებელია **ენობრივი მარკერის** გარეშე. ბასკური ენა საერთოდ არ ჰგავს ესპანურს. რაც შეეხება კატალონიურს, იგი ესპანურთან ერთად შედის ინდოევროპულ ენათა ოჯახში და მასთან დიდ მსგავსებასაც ავლენს. დღევანდელი მონაცემებით, ბასკეთს მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი ფლობს ბასკურ ენას, (იხ. გვ. 21) ხოლო კატალონიური ენის ცოდნის და ხმარების დონე ბევრად მაღალია (იხ. გვ 22), რაც მისი პოლიტიკურ ინსტრუმენტად ქცევის საშუალებას აადვილებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ფრანკოს პერიოდისგან განსხვავებით, თანამედროვე პერიოდში აღსანიშნავია ბასკების და კატალონიელებს შორის მხარდაჭერის არსებობა, როგორც ხალხის ისე პოლიტიკური ელიტების დონეზე.

დასკვნა

კვლევის შედეგად, ნაშრომში წარმოდგენილი ჰიპოთეზები დადასტურდა. დადგინდა რომ ფრანკოს მმართველობის პერიოდში ბასკური და კატალონიური ნაციონალიზმების განსხვავებული **ისტორიული წინამძღვრები** და ელიტების **ელიტების განსხვავებული პოლიტიკა** გახდა ის მიზეზი რატომაც ბასკური ნაციონალიზმმა არ გამოიწვია იგივე პროცესები კატალონიაში. ამასთანავე, თანამედროვე პერიოდში კატალონიური ნაციონალიზმის გაძლიერებას არ მოჰყოლია იგივე პროცესები ბასკეთში რამდენიმე მიზეზის გამო: ბასკების მძიმე **ისტორიული მეხსიერება (ეტა-ს საქმიანობა), ელიტების განსხვავებული პოლიტიკა და მიზნები, განსხვავებული ეკონომიკური და კულტურული ასპექტები** (ენის ცოდნის დონე).

კვლევის შედეგად გამოიკვეთა რომ 19-ე საუკუნეში ბასკური ნაციონალიზმი იყო ტრადიციონალისტური და ექსკლუზიური ხასიათის, ამასთან ერთად, ბასკეთის ნაციონალისტური პარტიის მთავარი მიზანი ბასკეთის სრული დამოუკიდებლობა იყო, ხოლო, იმ პერიოდში კატალონიური ნაციონალიზმი იყო ინკლუზიური და ლიბერალური, გარდა ამისა კატალონიურ ნაციონალისტურ მოძრაობას არ გააჩნდა პოლიტიკური დღის წესრიგი და ძირითადად კულტურული აქტივობებით შემოიფარგლებოდა, რაც შეეხება **ელიტების განსხვავებული პოლიტიკას,** ფრანკოს მიზანი იყო ბასკური იდენტობის და კულტურის სრული განადგურება, ხოლო კატალონიის შემთხვევაში იგი კულტურული ნაციონალიზმის გარკვეულ ნიშნებს უშვებდა.

ნაშრომში მკაფიოდ გამოჩნდა, რომ ბასკების ძალადობრივი პასუხი ფრანკოს მიმართ განპირობებული იყო რამდენიმე ფაქტორით: ფრანკოს მიერ ბასკური **სიმბოლოების განადგურება** (გერნიკას დაბომბვა), ბასკების პასუხი ძალადობაზე იყო ძალადობა, რადგან ისინი **კულტურული უსაფრთხოების დილემის წინაშე აღმოჩნდნენ**, აღსანიშნავია ასევე **ზოგადი პოლიტიკური კონტექსტიც.**

თანამედროვე პერიოდში, კატალონიაში სახეზეა ელიტების მიერ მართული ძალადობა, ელიტები ახდენენ კატალონიური კულტურული მარკერებით

მანიპულირებას და მათი მთავარი მიზანია პოლიტიკური ძალაუფლებისა და პრესეტიჟის მოპოვება, ხოლო ბასკი ელიტებისთვის სეპარატიზმი ასოცირდება ცუდ **ისტორიულ მეხსიერებასთან,** ამასთან ბასკი ლიდერების ინტერესებში არ შედის მადრიდთან დაპირისპირება, რადგან არსებული **პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა** მათთვის მისაღებია და ბოლოს აღსანიშნავია **ენის ფაქტორიც**, ბასკეთში ენის ცოდნის დაბალი დონე მისი პოლიტიკურ ინსტუმენტად ქცევას გამორიცხავს, ხოლო კატალონიაში პირიქით, კატალონიური ენის ცოდნის მაღალი დონე ელიტებს მიერ მასებით მანიპულირების საშუალებას აძლევს.

რაც შეეხება ბასკებს და კატალონიელებს შორის ურთიერთკავშირის არსებობა/არარსებობას, ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ბასკები და კატალონიელების ერთობლივი ქმედება ვლინდება ტერორიზმს უკავშირდება. ფრანკოს პერიოდისგან განსხვავებით, თანამედროვე პერიოდში აღსანიშნავია ბასკებსა და კატალონიელებს შორის მხარდაჭერის და სოლიდარობის არსებობა, როგორც ხალხის ისე პოლიტიკური ელიტების დონეზე, თუმცა, ეს არ მიმაჩნია საკმარის მიზეზად იმისთვის, რომ კატალონიაში მიმდინარე მოვლენები ბასკეთშიც გავრცელდება.

კვლევამ აჩვენა, როგორც ფრანკოს პერიოდში (ბასკეთში), ისე თანამედროვე პერიოდში (კატალონიაში) სეპარატისტულ მოძრაობებში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდნენ ელიტები, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ფრანკისკო ფრანკოს პერიოდში ბასკეთში ადგილი ჰქონდა მასების მიერ მართულ ძალადობას, (რომელიც, ფრანკოს დიქტატურის დასასრულისთანავე ელიტების მიერ მართულ ძალადობად გადაიქცა). ხოლო, თანამედროვე პერიოდში, კატალონიაში მიმდინარე მოვლენები ელიტების მიერაა მართული. აქვე უნდა აღინიშნოს, შიდა ეთნიკური უსაფრთხოების დილემას, მას ადგილი ჰქონდა, როგორც ბასკების (ფრანკოს პერიოდში) ისე კატალონიელების (თანამედროვე პერიოდში) შემთხვევაში, თუმცა იმ განსხვავებით, რომ კატალონიაში იგი ხელოვნურად, ელიტების მიერ იქნა პროვოცირებული.

გამოყენებული ლიტერატურა

Adamczyk, E. (2018, May 2). Spanish basque separatist group ETA dissolves after 54 years. *UPI.* Retrieved from https://www.upi.com/Top_News/World-News/2018/05/02/Spanish-Basque-separatist-group-ETA-dissolves-after-54-years/8701525278803/

Ahmad, S. (2013). The Instrumentalist Perspective on Nationalism: Case Study of Catalonia. *Journal of European Studies*, 70-82

Alkorta E.; Leonisio, D. (2018). No solo identidad: claves del independetismo en Euskadi.*Revista española de investigaciones sociologicas*, 25-44.

Badcock, J. (2017, November 8). Catalonia crisis: Why Basque leaders worry about Spain chaos. *BBC news.*Retrieved from https://www.bbc.com/news/world-europe-41888351

Baquero, C. (2017, October 2). REFERÉNDUM EN CATALUÑA. *Elpais.* Retrieved from https://elpais.com/ccaa/2017/10/02/catalunya/1506898063_586836.html

BBC news (2003,). *Basque PM set out autonomy plan.* Retrieved from http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/3143168.stm

BBC news (2012,). *Catalonia election: Separatists win majority*. Retrieved from https://www.bbc.com/news/world-europe-20482719

BBC news (2018,). *Catalans Elect new Separatist Leader Quim Torra. Retrieved from* https://www.bbc.com/news/world-europe-44109500

Bitong, A. (2017, September 17). El misterioso origen del euskera, el idioma más antiguo de Europa. *BBC travel.* Retrieved from https://www.bbc.com/mundo/vert-tra-40783435

Boffey,D . (2017, November 21). Spain 'ready to discuss' greater fiscal autonomy for Catalonia. *Theguardian*. Retrieved from https://www.theguardian.com/world/2017/nov/21/spain-ready-to-discuss-greater-fiscal-autonomy-for-catalonia

Boletín oficial del Estado, “Constitución Española”, (1978). Retrieved from https://www.boe.es/legislacion/documentos/ConstitucionCASTELLANO.pdf

Burrige, T. (2012, November 26). Catalonia election: Separatists win majority. *BBC news.* Retrieved from https://www.bbc.com/news/world-europe-20482719

Centre d'Estudis d'Opinio. (2018). *Barometro de Opinion politica .* Barcelona : Generalitat de Catalunya.

Centre d'Estudis d'Opinio. (2017). *Barometro de Opinion Politica.* Barcelona: Generalitat de Catalunya .

Conversi, D. (1997). *Basques, Catalans and Spain.* London, United Kingdom: C.Hurst & Co.

Datosmacro. (2017), *PIB de las Comunidades Autonomas.* Retrieved from https://da tosmacro.expansion.com/pib/espana-comunidades-autonomas

Datosmacro. (2018), *EPA- Encuesta de Poblacion Activa de las Comunidades Autonomas.* Retrieved from https://datosmacro.expansion.com/paro-epa/espana-comunidades-autonomas?dr=2018-12

დავითაშვილი, ზ. (2003). *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია.* თბილისი: ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო".

De sojo, A. I. (2017, July 21). Barcelona ’92: Los Juegos Olímpicos que Pujol nunca quiso. *Elindependiente.* Retrieved from https://www.elindependiente.com/politica/2017/07/21/barcelona92-los-juegos-olimpicos-que-pujol-nunca-quiso/

Dominguez, I. (2017, November 12). Una semana viendo solo TV3. *Elpais. Retrieved from* https://elpais.com/politica/2017/11/11/actualidad/1510405274_761069.html

Elmundo (2012). *Pujol, sobre Barcelona'92: 'El boicot era fácil, pero los apoyamos por patriotismo'.* Retrieved from https://www.elmundo.es/elmundo/2012/07/22/barcelona/1342950406.html

El pais. (2011). Patxi lopez: "ETA ha sido derrotada. *Elpais*. Retrieved from https://elpais.com/politica/2011/08/11/actualidad/1313050053_488241.html

Esparza, P. (2017, October 9). La razón por la que al País Vasco, Cataluña y Galicia se les llama "nacionalidades históricas" y ¿en qué se diferencian del resto de España?. *BBC news mundo.* Retrieved from https://www.bbc.com/mundo/noticias-internacional-41538966

Faraldo, J. (2017, September 20). La Cataluña franquista. *Huffington Post.* Retrieved from https://www.huffingtonpost.es/jose-m-faraldo/la-cataluna-franquista_a_23215992/

Fernandez, A. (2016, January 10). Puigdemont asume la construccion de una Republica catalana en 18 meses. *Elconfidencial.* Retrieved from https://www.elconfidencial.com/espana/cataluna/2016-01-10/puigdemont-asume-la-construccion-de-una-republica-catalana-en-18-meses_1133292/

France24 (2010). *One million march to support statute on catalan autonomy.* Retrieved from: https://www.france24.com/en/20100711-spain-catalan-one-million-protest-statute-constitutional-court-challenge

Gies, D. T. (1994). A Country in Spain, *Wilson Quarterly,18*(1), 70-76

Gozzer, S. (2017, November 7). Gure Esku Dago, el movimiento que se inspira en el independentismo catalán para pedir un referéndum en el País Vasco. *BBC news mundo*. Retrieved from https://www.bbc.com/mundo/noticias-internacional-41895964

Theguardian (2017). *Only political dialogue can bring stability to Catalonia- and EU must help*. Retrieved from https://www.theguardian.com/commentisfree/2017/oct/23/dialogue-stability-catalonia-eu-madrid-basque-autonomy-catalan-crisis

Gureesku (2013). *Our path.* Retrieved from: https://gureesku.eus/en/whats-gure-esku/

Hella Basque. (2018). *How Many people in the Basque Country Actually Speak Eurkera?* Retrieved from http://www.hellabasque.org/euskara/

Henley, J. (2018, December 22). Catalonia secessionist parties declare victory in regional elections- as it happened. *Theguardian.* Retrieved from https://www.theguardian.com/world/live/2017/dec/21/catalonia-voters-results-regional-election-spain-live

ICPS. (1994). *Sondeig D'Opinio Catalunya.* Barcelona: PPU S.A. .

ICPS. (2004). *Sondeig D'Opinio Catalunya.* Barcelona: PPU S.A.

Jones, S . (2018, May 17). Quim Torra sworn in as catalan president amid xenophobia claims. *Theguardian*. Retrieved from https://www.theguardian.com/world/2018/may/17/quim-torra-sworn-in-catalan-president-xenophobia-claims

Kaufman, S.J. (1996). An "International" Theory of Inter-Ethnic War. *Cambridge University Press, 22*(2), 149-171

Kingsley, P. (2017, October 28). As Catalonia Crisis Deepens, Many Basques Wary of New Independence Bid. *New York Times.*Retrieved from https://www.nytimes.com/2017/10/28/world/europe/spain-catalonia-basque-independence.html

LLobera, J.R. (1999). Recent Theories of Nationalism. *The Institut de Ciències Polítiques i Socials (ICPS)*, 1-35.

Thelocal news. (2018). *Why Catalan and Basque Separatists are going different ways.* Retrieved from https://www.thelocal.es/20180430/analysis-why-catalan-and-basque-separatists-are-going-different-ways

Lopez, D. (2018, april 8). Tras el vandalismo, el terrorismo llegó a Cataluña: 40 años de las bombas de Terra Lliure. *Elespañol.* Retrieved from https://www.elespanol.com/reportajes/20180401/vandalismo-terrorismo-llego-cataluna-bombas-terra-lliure/296220806_0.html

Madaula, A (2012, December 10). Catalan Nationalism: a step towards independence. *Catalan International View.* Retrieved from https://www.researchgate.net/publication/315715085_Catalan_nationalism_a_step_towards_independence

Macdonald, A. Emmott, R. (2017, September 21) Spooked by Catalonia, EU rallies behind madrid, but warily. *Reuters.* Retrieved from https://www.reuters.com/article/us-spain-politics-catalonia-eu/spooked-by-catalonia-eu-rallies-behind-madrid-but-warily-idUSKCN1BW1OC\

Macko, K. (2011). The Effect of Franco in the Basque Nation. *Salve Regina University*, 1-39

Marcos, P. (2006, August,1). El PP recurre al Constitutional el Estatuto catalan "para imedir un dano irreparable". *Elpais.* Retrieved from https://elpais.com/diario/2006/08/01/espana/1154383213_850215.html

Mastrovito, F. (1993). *Basque and Catalan Nationalism: A Comparison* (Master's thesis, Indiana University, Indiana, United States). Retrieved from https://apps.dtic.mil/dtic/tr/fulltext/u2/a267973.pdf

Netzley, P. (2007). *Terrorism.* Greenhaven, United States: Christine Nasso

Ortega, L. (2018, October 27). Asi se gesto la aplicacion del 155.*La vanguardia.* Retrieved from https://www.lavanguardia.com/politica/20181027/452549024152/articulo-155-aniversario-155-rajoy-gobierno.html

Payne, S. (2008). Catan and Basque Nationalism. *Journal of Contemporary History* , *6*(1), 15-51.

Perez, F. (2014, November 10). 1,8 millones de personas votan por la independencia catalana en el 9-n. *Elpais*. Retrieved from https://elpais.com/politica/2014/11/09/actualidad/1415542400_466311.html

Pi, J. (2013, September 11). Catalunya muestra su via al mundo. *lavanguardia.* Retrieved from https://www.lavanguardia.com/politica/20130911/54382311472/via-catalana-realidad.html

Piñol, A. (2012, September 11). El independentismo catalan logra una histrica exhibicion de fuerza. *Elpais*. Retrieved from https://elpais.com/ccaa/2012/09/11/catalunya/1347375808_419590.html

პიპინაშვილი, დ. (2009). *სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემბლობა.

Rico, J. (2018, March 1). ¿Está el catalán en peligro de muerte? *El periodico.* Retrieved from https://www.elperiodico.com/es/politica/20160401/estadisticas-uso-conocimiento-catalan-5019583

Robledo,J.(2009, May 5). Nuevo País Vasco: de Ibarretxe a López. *BBC news mundo.* Retrieved from https://www.bbc.com/mundo/internacional/2009/05/090505_1415_vascos_elecciones_medl

Rodriguez, V. (2015, October 8). *Basque Country*. Retrieved from Encyclopedia Brittanica: https://www.britannica.com/place/Basque-Country-region-Spain

Rodriguez, V. (2019, April 11). *Catalonia*. Retrieved from Encyclopedia Britannica : https://www.britannica.com/place/Catalonia

Rubio, J. Peinado, M. (2017, October 10). La declaracion de independencia que duro menos de un minuto. *El pais verne.* Retrieved from: https://verne.elpais.com/verne/2017/10/10/articulo/1507653719_231546.html

Sabanadze. (2010). *Nationalism and Globalisation, cases of Georgia and Basque Country.*Budapest, Hungary*:* Central European University press

Sala, M. P. (2015, November 30). *Catalan Language*. Retrieved from Encyclopedia Britannica: https://www.britannica.com/topic/Catalan-language

სეპარატიზმი.(2005) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი: ლექსიკონი ცნობარი. Retrieved from http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6649

Torres, A. G. (2000). El Origen Del Nacionalismo Vasco. *El laberinto,* 1-13

Van Dijk, L (2018). *Voting or Violence? Analysing Political Violence by ETA and Terra Liure during and after the Spanish Transition to Democracy,* (Doctoral thesis, University of

Utrecht, Utrecht, Netherlands). Retrieved from

https://dspace.library.uu.nl/handle/1874/363058

Vega, M. (2019, April 12). Sólo el 23% de los vascos quiere la independencia. *EL mundo.*

Retrieved from https://www.elmundo.es/pais-

vasco/2019/04/12/5cb072a821efa057738b468e.html

Wood, D. (2006, June 19). Catalonia endorses autonomy plan. *BBC news.* Retrieved from http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/5091572.stm

ხუბუა, გ. (2000). *ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური*

წესრიგი. თბილისი: ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Ani Chubinidze

MA Thesis. Chubinidze A. – Comparative analysis of Basque and Catalan Nationalism (the period of Francisco Franco's rule and modern times)

Nationalism and Ethnicity studies

Thesis submitted to the faculty of the Nationalism and Ethnicity studies in partial fulfillment of the requirements for the degree of Master of Science

Supervisor: **Irakli Chkhaidze,**

Assistant Professor

Tbilisi 2019